# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 24 ოქტომბერი, 2014 წელი.

№217 (7598)




ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴠⴃⴅⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴚⴗⴓⴈⴊⴍⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴠⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.





## „ორგანიზებული ქაოსის“ შორს მიმავალი გეგმები

⑤

ირაკლი ლოლაშვილი:

## მოვიდა დრო, ახლებურად გავიაზროთ თბილისის ქალაქმშენებლობითი პრობლემები

⑥



დედაქალაქის ხელისუფალთა საყურადღებოდ!

რადოსლავ სიკორსკი:

## სააკაშვილმა საკუთარ თავს პროვოცირების უფლება მისცა და პირველმა გახსნა ცეცხლი

②




## ნატო საქართველოსთვის - კარი ღიაა, შესვლა აკრძალულია

④



## ერთობლივი სამხედრო სწავლება

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსთან, არმიის გენერალ ნეჯდეთ ოზელთან გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობები და თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს.

როგორც საქართველოს მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველო-თურქეთს შორის არსებობს მრავლისმომცველი თანამშრომლობის გეგმა და ინტენსიური თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით.

„არაერთხელ გვითქვამს და, რაც მთავარია, საქმით დაგვიმტკიცებია, რომ თურქეთი საქართველოს არა მხოლოდ მეზობელი, არამედ მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორია“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა შეხვედრაზე.

პრემიერმა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის კუთხით, თურქეთის მაქსიმალური ჩართულობის იმედი გამოთქვა და საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების საქმეში თურქეთის რესპუბლიკის წვლილზე გაამახვილა ყურადღება. მხარეებმა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებზე იმსჯელეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა თურქეთის შეიარაღებული ძალების სარდალს ალიანსში გაწევრიანების გზაზე საქართველოს მხარდაჭერისთვის.

⦿ დღის ამოჩანაწერიდან

## ერთდროულად ორ კურდღელს ვკლავთ...

— თქვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში არ ვიცი, რომელი მკითხველის, მაგრამ ნამდვილად ჩინებული ფრაზა-წინადადება გამოქვეყნდა: ოჯახური ძალადობის აღსაკვეთად სახელმწიფომ ოჯახში სასწრაფოდ შემოიღოს მანდატურის ინსტიტუტი.

ამით, რა თქმა უნდა, ერთდროულად ორ კურდღელს ვკლავთ: ჯერ ერთი, მანდატურების სახით ასი ათასობით ახალგაზრდა კაცსა და ქალს დავასაქმებთ, მეორეც, ძალადობას ქმარსა და ცოლს შორის დასაწყისშივე ავლაგმავთ და აგრერიგად მომრავლებულ ტრაგედიებს თავიდან ავიცილებთ.

გასკდნენ გულზე ეს ებოლა-ნაციონალები.

დეზდემონა დამენია,
ფსიქოლოგი,
ქ. ქუთაისი



**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები

# მარგველაშვილ-პუტინის შეხვედრა, როგორც ჩანს, თვითონ ვანომ დაგეგმა, მაჭავარიანმა...

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საჯაროდ განაცხადა, რომ მზად არის საქართველოს ახალი ხელისუფლების უმაღლეს პირებს შეხვდეს. ჩვენთან იმთავითვე ატყდა აჟიოტაჟი, ვინ უნდა წასულიყო რუსეთის პრეზიდენტთან შესახვედრად — პრემიერ-მინისტრი თუ პრეზიდენტი. როგორც იქნა, ეს ვნებათაღელვა ჩაცხრა, მაგრამ ახლა პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა ვანო მაჭავარიანმა ხელახლა დაანთო ცეცხლი: შეხვედრა მზადდებოდა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, მაგრამ მარგველაშვილ-პუტინის დიალოგს საქართველოს მთავრობამ შეუშალა ხელიო. ასეთ განცხადებაზე მთავრობის წევრებმა მხრები აიჩეჩეს, მსგავსი რამე არც დაგეგმილაო, ხოლო პრეზიდენტმა დუმილი არჩია(!).**

ვანო მაჭავარიანის ხმამაღლა გაკეთებულმა განცხადებამ





და „ნიუანსების გამხელამ“ ბევრ ექსპერტს გაუჩინა ეჭვი, რომ მსგავსი შეხვედრა მართლაც იგეგმებოდა. მაგალითად, ამასთან დაკავშირებით **ვახტანგ ძაბირაძე** ამბობს, რომ მაჭავარიანის ნათქვამი დამაჯერებელია. **„მისი განცხადებით, ნამდვილად ასე ჩანს, რომ შეხვედრა მზადდებოდა და ამას ხელი შეუშალა საქართველოს მთავრობამ. განცხადების ტონიდან იკვეთება, რომ თითქოს თანახმა იყვნენ ჩვენი პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები. შესაძლოა, ეს საუბარი იყო კიდეც ოლიმპიადის წინ. საინტერესოა, ისეთი რა მნიშვნელოვანი თემა უნდა ყოფილიყო განსახილველი, რისი იმედი ჰქონდათ და რისი მიღწევა შეიძლებოდა ამ მოლაპარაკებით?“ —** იკითხავს ექსპერტი.

ვერ გეტყვით, რა იყო ვანო მაჭავარიანის მხრიდან „დეტალების გამხელის“ მიზანი, მაგრამ ამ განცხადებამ თავისი გასაკეთებელი უკვე გააკეთა. კიდევ ერთხელ გაირბინა შავმა კატამ პრეზიდენტსა და პრემიერს შორის, ხოლო საზოგადოებას ეჭვი გაუმყარა სახელისუფლებო შტოებს შორის არსებული დაპირისპირების თაობაზე. განცხადება გაკეთდა ზუსტად მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთს „ანექსიის“ დოკუმენტი წარუდგინა ხელმოსაწერად. ვახტანგ ძაბირაძის აზრით, **„მაჭავარიანმა ფაქტობრივად მთავრობა დაადანაშაულა. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ამ განცხადების კონტექსტი ის არის, ეს შეხვედრა რომ შემდგარიყო, შესაძლოა ის, რაც აფხაზეთთან ხელშეკრულების სახით ფორმდება, არ მომხდარიყო და მთავრობამ აი, აქ დაუშვა შეცდომა“.**

რუსეთიდან გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, ქმედება, გამოწვევა თუ ა. შ. ფაქტია, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან „რეაგირების“ გარეშე რჩება. ეს ერთობ „ნელ-თბილი“ დამოკიდებულება ოპონენტების სერიოზულ გულისწყრომას იწვევს. აქედან გამომდინარე, რატომ უნდა შეეშალა ხელი ღარიბაშვილს მარგველაშვილ-პუტინის შეხვედრისთვის, გაურკვეველია. მით უმეტეს, როცა საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძეც ამბობს, რომ **„რუსეთსა და დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მუდმივად არის მცდელობა, რომ ჟენევა ჩაიშალოს, ან მისი ფორმატი შეიცვალოს, მაგრამ საქართველოს ინტერესებშია ამ ფორმატის შენარჩუნება. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ჟენევის ფორმატს საფრთხე არ დაემუქროს“.**

სამწუხაროდ, არავითარი მარგველაშვილ-პუტინის შეხვედრა რომ არ იგეგმებოდა, მოგვიანებით თავად დაადასტურა ვანო მაჭავარიანმა და განცხადების ინტერპრეტირება ჟურნალისტს დააბრალა: **„მე ამ თემაზე ვისაუბრე „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტთან. ვიმეორებ, რომ პუტინ-მარგველაშვილის ვიზიტი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არ იგეგმებოდა“** — აცხადებს ის. ვანო მაჭავარიანი აბსოლუტურად სხვა არგუმენტებს იშველიებს და ამბობს, რომ მსგავს შეხვედრაზე საუბარი მხოლოდ იდეის დონეზე იყო, რასაც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებიც ეთანხმებიან. აი, რა განაცხადა მოგვიანებით პრეზიდენტის კულუარების „მესაიდუმლე“ ვანო მაჭავარიანმა: **„ჩვენ (და პირადად მე, რომელსაც უშუალოდ მქონდა დავალებული საგარეო მიმართულებების კურირება) ვალდებულები ვიყავით, პრეზიდენტ მარგველაშვილის საჯარო მზაობის შემთხვევაში — შეხვედროდა რუსეთის პრეზიდენტს, სადაც განიხილავდნენ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან თემებს. მაგალითად, როგორიცაა: ოკუპაცია. ჩვენ თემატურად, შინაარსობრივად უნდა მოგვემზადებინა ეს საკითხი. ამ შეხვედრის მიზანშეწონილობის შესახებ შევხვდით მთავრობის წარმომადგენლებს, ბატონ ზურაბ აბაშიძესთან მქონდა უშუალო საუბარი, ასევე დავით ზალკანიანთან და სხვებთან, მათ შორის, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან. გვაინტერესებდა, რამდენად იყო მზად ამისთვის ქართული მხარე. მთავრობამ არ მოინდომა ეს შეხვედრა. აღმოჩნდა, რომ ამ თემებისთვის ნიადაგი არ იყო მომზადებული. შესაბამისად, ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ ეტაპზე ეს თემა გადაიდო თუ დაიხურა... შეხვედრა არ ჩაშლილა იმ მარტივი მიზეზით, რომ ის არც დაგეგმილა“,** — დასძენს მაჭავარიანი.

თითქოს, ეს თემა ამით უნდა ამოწურულიყო, რომ არა ისევ ვანო მაჭავარიანის გახმიანებული ვარაუდი, რომელმაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ისევ ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობას დღესაც იგივე პოზიცია აქვს, და რომ რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის საფუძველი ამ ეტაპზე არ არსებობს... ამის საპირწონედ, მთავრობა გვარწმუნებს, რომ „დიალოგს ყოველთვის აქვს აზრი. ამის ნათელი მაგალითია, აბაშიძე — კარასინის დიალოგის გაგრძელება...

**თეა მოსია**

მილოცვა



საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი ჩვენივე პრეზიდიუმის აქტიურ წევრს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, დიდ მეცნიერს, ბატონ **თამაზ გამყრელიძეს** ულოცავს დაბადების დღეს.

ბატონო თამაზ, დიდია თქვენი დამსახურება საქართველოს ეროვნული მეცნიერების განვითარების საქმეში. ასევე დიდია თქვენი ღვაწლი საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ქართველ ხალხს არ დავიწყებია ის მგზნებარე პატრიოტული გამოსვლები 9 აპრილთან დაკავშირებით, საქართველოს უნივერსიტეტში და საკავშირო უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

ცნობილია თქვენი ლექციები ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში. ბრძანდებით ფართო ერუდიციის, დახვეწილი გემოვნების ადამიანი.

ბატონო თამაზ, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს თქვენს მეუღლესთან, ქალბატონ ნინოსთან და ოჯახის წევრებთან ერთად.

**მერაბ ბერძენიშვილი**

# მოვუწოდებ ქრისტიანებს და მუსლიმებს: თქვენ ხართ თანასწორნი და ვალდებული ხართ, დაემორჩილოთ კანონს

**კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანაბარია და რელიგიურ აღმსარებლობას მნიშვნელობა არ აქვს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღა-**



**რიბაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, რითაც ადიგენის რაიონში განვითარებელ მოვლენებს გამოეხმაურა. პრემიერის შეფასებით, დასაგმობი და მიუღებელია, რაც მოხდა.**

**„მინდა, გამოვეხმაურო ადიგენის რაიონში განვითარებელ მოვლენებს. გავერკვიე ამ საკითხში და მითხრეს, რომ ამ საკითხს საკმაოდ ვრცელი ისტორია აქვს. სოფელში მცხოვრები ქრისტიანები ამბობენ, რომ ამ ადგილზე ადრე იყო ეკლესია, რომელიც დაანგრიეს და ნანგრევებით ააშენეს მუსლიმების სამლოცველო — მეჩეთი. შემდეგ ერთი საუკუნის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის პერიოდში ის იყო კულტურის სახლი და დღემდე იყო უსარგებლო შენობა, ნანგრევები, რომლისთვისაც ყურადღება არ მიუქცევიათ. ადგილობრივმა თვითმმართველობამ, გამგეობამ გამოაცხადა კონკურსი იმის თაობაზე, რომ ამ ადგილზე მოეწყობოდა ბიბლიოთეკა, რომლითაც ისარგებლებდნენ სოფელში მცხოვრები როგორც ქრისტიანები, ისე მუსლიმები და მოეწყობოდა კარგი კულტურული დაწესებულება, რათა თავიდან აგვერიდებინა კონფლიქტი, ვინაიდან ერთი მხრივ ქრისტიანები აცხადებდნენ, რომ აქ იყო ისტორიულად ეკლესია, ხოლო მუსლიმები ამბობდნენ, რომ აქ იყო მეჩეთი“, —** აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, ყველა მსგავსი საკითხი ჯერ რელიგიის საკითხთა სააგენტომ უნდა შეისწავლოს, რომელიც შემდგომში მთავრობას რეკომენდაციით მიმართავს.

**„ვადასტურებ, რომ ადგილობრივი მუსლიმების თხოვნა სამცხე-ჯავახეთის მუფთმა გადმომცა, რომ ეს საკითხი კიდევ ერთხელ განგვეხილა. მინდა, ყველა რელიგიის წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ შევახსენო, რომ ჩვენ შევქმენით რელიგიის საკითხთა სააგენტო დაახლოებით ასეთი საკითხების შესწავლის მიზნით. ყველა ასეთი საკითხი ჯერ უნდა შეისწავლოს რელიგიის საკითხთა სააგენტომ, რომელიც შემდგომში რეკომენდაციით მიმართავს მთავრობას. მსგავსი რამ არ მომხდარა. ვესაუბრე გუბერნატორს, რომელსაც ჰქონდა კომუნიკაცია რეგიონის მუფთთან და ჩამოყალიბდნენ იმაზე, რომ მუფთისთვის აშენდებოდა სახელმწიფო სახსრებით პატარა ზომის რეზიდენცია, რადგან მთავარი მოთხოვნა იყო მუფთის რეზიდენცია. სოფელში უკვე არსებობს მეჩეთი და მუსულმანებს ლოცვის პრობლემა არ აქვთ, შესაბამისად, ვფიქრობ, ეს იყო ნორმალური გადაწყვეტილება იმისთვის, რომ არ მომხდარიყო კონფლიქტი. ვგმობ ყოველგვარ ძალადობას და ეს მიუღებელია, მაგრამ მინდა, განვაცხადო, რომ კანონის წინაშე ყველა მოქალაქე თანაბარია და რელიგიურ აღმსარებლობას მნიშვნელობა არ აქვს,**



**კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველას, იქნება ეს ქრისტიანი თუ მუსულმანი მოსახლეობა — თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, თქვენ ხართ თანასწორნი და ვალდებული ხართ, დაემორჩილოთ კანონს. სახელმწიფო უზრუნველყოფს იმას, რომ თქვენი უფლებები იყოს დაცული მაქსიმალურად და თქვენი უფლებების შელახვის უფლებას არავის მისცემს. მოგიწოდებთ სიმშვიდისა და გონივრული გადაწყვეტილების მიღებისკენ“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## რადოსლავ სიკორსკი:

# სააკაშვილმა საკუთარ თავს პროვოცირების უფლება მისცა და პირველმა გახსნა ცეცხლი

**ამის შესახებ პოლონეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა და სეიმის მარშალმა რადოსლავ სიკორსკიმ პოლონურ გამოცემა Gazeta Wyborcza-სთან ინტერვიუში განაცხადა. ინტერვიუს თარგმანს inosmi.ru ავრცელებს.**

გამოცემასთან ინტერვიუში პოლონეთის რადოსლავ სიკორსკიმ ცოტა ხნის წინ ამერიკულ გამოცემა Politico-სთან გაკეთებულ განცხადებაზე ისაუბრა, რომ 2008 წელს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა პოლონეთის პრემიერ-მინისტრ დონალდ ტუსკს უკრაინის გაყოფა შესთავაზა, რაზეც ტუსკმა რეაგირება არ მოახდინა, რადგან მათი საუბარი იწერებოდა.

„პირადად მე ამ საუბარს არ ვესწრებოდი, თუმცა ეს ამბავი ჩემამდე მოვიდა. სიტყვა „შეთავაზება“ არასწორი ფორმულირებაა. ისეთი სიტყვები ისმოდა, ისტორიული ალუზია ან ბოროტი ხუმრობა გეგონებოდა. თუმცა, პრეზიდენტი პუტინი მსგავსი ტერმინებით მსოფლიოსა და ევროპის ბევრ ლიდერს ელაპარაკება. ამას წინათ, მაგალითად, ევროკომისიის პრეზიდენტს უთხრა, რომ კიევის აღება ორ კვირაში შეუძლია“, — განაცხადა რადოსლავ სიკორსკიმ.

მისივე თქმით, ამ საკითხზე საჯაროდ რამდენიმე თვის წინაც საუბრობდნენ, როდესაც რუსეთის დუმის დეპუტატმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ პოლონეთსა და რამდენიმე სხვა ქვეყანას ოფიციალური წერილი გაუგზავნა უკრაინის რამდენიმე ოლქის დაყოფაზე.

როგორც პოლონურ გამოცემასთან ინტერვიუში რადოსლავ სიკორსკი აღნიშნავს, 2008 წელს პუტინის ეს სიტყვები სიურეალისტურად ჟღერდა. მისივე განცხადებით, დავიწყებას არ უნდა მიეცეს ისტორიული კონტექსტი.

რადოსლავ სიკორსკის თქმით, ეს ჯერ კიდევ ნატოს ბუქარესტის სამიტამდე იყო, პუტინი უკრაინას ღია ტექსტით ემუქრებოდა, სხვათა შორის ლეხ კაჩინსკის თანდასწრებით და, რა თქმა უნდა, საქართველოსთან ომამდე. ბუქარესტში კი ვლადიმერ პუტინმა პირდაპირ განაცხადა, რომ უკრაინა ხელოვნური სახელმწიფოა, რუსეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და პოლონეთის მიწების კონგლომერატი.

„პუტინის გამოსვლის ტექსტი რუსულმა მხარემ ჩვენი თხოვნით გადმოგვცა, ჩვენ კი მეგობრული ჟესტის ნიშნად, ეს ტექსტი უკრაინას გადავეცით. ჩვენ ბევრ დასავლელ ლიდერს ვუზიარებდით ჩვენს მოსაზრებებს. მაგრამ ყირიმის ანექსიამდე ცოტა ვინმე თუ იჯერებდა ამას. შეგახსენებთ, რომ საქართველო არ იყო რუსეთის განზრახვების დამაჯერებელი მტკიცებულება, რადგან იქ პრეზიდენტმა სააკაშვილმა საკუთარი თავის პროვოცირების უფლება მისცა და პირველმა გახსნა ცეცხლი“, — განაცხადა რადოსლავ სიკორსკიმ.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, პუტინის ილუზიებს მხოლოდ მოგვიანებით, ნატოს სამიტის, საქართველოსთან ომის და ყირიმის ანექსიის შემდეგ მიეცა აზრი.

№217. პარასკევი, 24 ოქტომბერი, 2014 წელი.

SIC!

# რით ჰგავს საქართველო სომხეთს, აზერბაიჯანსა და მონტენეგროს?

**საარსებო** მინიმუმი მუდმივი ინტერესის ობიექტია ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის, ხელისუფლებისა და მედიისთვის. ამ მაჩვენებლისადმი დამოკიდებულება ხშირად განსაზღვრავს ხალხის სიმპათია-ანტიპათიას ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ. ალბათ ამიტომ, ხელისუფლებაში მოსვლამდე თითქმის ყველა მთავრობა იძლევა დაპირებას, რომ საარსებო მინიმუმს გაზრდის. გამონაკლისი ამ მხრივ არც „ქართული ოცნება“ ყოფილა.

ბოლო თვეებში საქართველოში ამ მაჩვენებლის ზრდის ტენდენცია მართლაც შეინიშნება – ის უკვე მეორე თვეა მატულობს: **„საქსტატის“ მონაცემებით, 2014 წლის სექტემბერში საარსებო მინიმუმი 155,8 ლარი გახდა, რაც 5,2 ლარით მეტია აგვისტოსთან შედარებით და 8,1 ლარით მეტი – გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. შეგახსენებთ, რომ ამა წლის ივლისში საარსებო მინიმუმი უფრო მცირე – 144,7 ლარი იყო. მიუხედავად ამისა, საზოგადოება კვლავ მოითხოვს, იმას რომ სააარსებო მინიმუმის მაჩვენებელი რეალობას უფრო ზუსტად უნდა ასახავდეს.**

**საარსებო მინიმუმი იზრდება, „მაგიური“ პროპორცია 70/30 კი – უცვლელი რჩება**

ეკონომიკის ექსპერტის **სოსო არჩვაძის** აზრით, **უკვე მოვიდა დრო, რომ საარსებო მინიმუმის ანგარიშისას სურსათის წილი შევამციროთ, რაც ნიშნავს, იმას, რომ არასასურსათო საქონლის შესაძენად განკუთვნილი თანხის რაოდენობა გაიზრდება.**

**– „საარსებო მინიმუმს ყველა ქვეყანაში განსხვავებულად ანგარიშობენ. მაგალითად: მოწინავე ქვეყნებში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის რაოდენობას ითვლიან. არსებობს სხვა კრიტერიუმებიც – მაგალითად, მსოფლიო ბანკი იყენებს ისეთ კრიტერიუმს, როგორიცაა საშუალო სულადობრივი შემოსავალი დღე-ღამეში 2 დოლარის ოდენობით, ანუ ადამიანი, რომელსაც თვეში 60 დოლარის შემოსავალი აქვს, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფად არ უნდა ჩაითვალოს. არსებობს კიდევ ერთი მეთოდი – როდესაც საარსებო მინიმუმს მოსახლეობის თვითშეფასების მიხედვით განსაზღვრავენ: გააჩნია, რომელ ფენას მიაკუთვნებს ადამიანი თავის თავს – ღარიბს, მდიდარს, თუ საშუალო ფენას. საქართველოში კი, ე.წ. ნორმატიულ სტატისტიკურ მეთოდს იყენებენ: აქ აღებულია პროპორცია 70:30-ზე, ანუ 70 პროცენტი მოდის სურსათზე, ხოლო დანარჩენ მომსახურებაზე – 30 პროცენტი, რაც არასწორია. მე ვფიქრობ, რომ ეს „მაგიური“ რიცხვები უნდა შეიცვალოს“.**

სოსო არჩვაძის თქმით, **ჩვენს მეზობელ ქვეყნებში დაახლოებით იგივე მდგომარეობაა, რაც ჩვენთან, თუმცა სოციალური უთანაბრობა ჩვენთან გაცილებით მწვავედ იგრძნობა: „ჩვენ პოსტსაბჭოთა სივრციდან გამოვედით და მეზობელ ქვეყნებს თუ გადავხედავთ, დაახლოებით ერთნაირი მდგომარეობა გვაქვს, თუმცა სოციალური დიფერენციაცია ჩვენთან გაცილებით მაღალია, ვიდრე ამ ქვეყნებში, შესაბამისად, სიღარიბის მაჩვენებელი საქართველოში უფრო „შთამბეჭდავად“ გამოიყურება. ოფიციალური სტატისტიკით, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების რაოდენობა საქართველოში სადღაც 10 პროცენტამდეა, თუმცა რეალურად, სიღარიბის ზღვარს მიღმა ოჯახების 40-45 პროცენტი იმყოფება. პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის საკმაოდ რთული მდგომარეობაა ტაჯიკეთში, სადაც ღარიბი ოჯახების რაოდენობა 47%, ყირგიზეთში – 35%-ია, უკეთესად აქვს საქმე ბალტიისპირეთს, სადაც სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა რაოდენობა 6 %-ია, ყაზახეთში – 8, ხოლო რუსეთის ფედერაციაში – 11 %. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა აქვს აზერბაიჯანსაც. რაც შეეხება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს, მათ ვერც კი შევედრებით – ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, შვეიცარიაში, ღარიბად მიიჩნევენ ადამიანს, რომელსაც თვეში 2800 ფრანკზე ნაკლები შემოსავალი აქვს, რაც შეეხება ამერიკას, იქ ეს ზღვარი თვეში ათას დოლარამდეა“.**

ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის ხელმძღვანელი – **ქეთევან კრიალაშვილი** მიიჩნევს, რომ **მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენლობა და შეფარდება – 70/30 შესაცვლელია: „საქსტატი“ საარსებო მინიმუმს სასურსათო და არასასურსათო კალათების 70/30 პროპორციის მიხედვით ადგენს, სასურსათო კალათის ფულად ღირებულებას კი – 40 დასახელების პროდუქტის ჯგუფის მიხედვით ანგარიშობს. ამ პროდუქტების დღიური კვებითი ღირებულება ერთ შრომისუნარიან მამაკაცზე 2 300 კილოკალორიაა. რა ხდება საქართველოს მეზობელ ქვეყნებში? – სომხეთში მინიმალურ სასურსათო კალათში შედის: საკონდიტრო ნაწარმი, ხორცი, თევზი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, ზეთი, შაქარი, ბოსტნეული, ხილი, უალკოჰოლო სასმელი და სხვა საკვები პროდუქტები, რომელთა დღიური ენერგეტიკული**



**ღირებულება 2 232 კკალორიას შეადგენს, ხოლო მინიმალური სასურსათო და მინიმალური არასასურსათო კალათების პროპორცია იქაც 70/30-ია. ამავე პროპორციით ანუ 70/30-ით განისაზღვრება საქართველოს კიდევ ერთი მეზობლის – აზერბაიჯანის მინიმალური სამომხმარებლო კალათა, სადაც საკვები პროდუქტების დღიური მოხმარების ენერგეტიკული ღირებულება 2 200 კკალორიაა. საარსებო მინიმუმი კი – 264,2 ლარი, რუსეთში საარსებო მინიმუმი 346,3 ლარი იყო ჯერ კიდევ 2012 წელს, მეზობელ უკრაინაში 1176,00 გრივნა ანუ დაახლოებით 158 ლარი – 2013 წლის მონაცემებით. სხვათა შორის, მსგავსი მდგომარეობაა მონტენეგროში ანუ ჩერნოგორიაში, სადაც მინიმალური დღიური ენერგეტიკული ღირებულება 2 211 კკალორიას შეადგენს, ხოლო მინიმალური სასურსათო კალათის წილი სამომხმარებლო კალათში 31,1%-ია.**

ქეთი კრიალაშვილის აზრით, **საინტერესო პრაქტიკის მქონეა ყაზახეთი, სადაც მინიმალური სასურსათო და არასასურსათო კალათების პროპორციები 70/30-ზე შეადგენდა 2006 წლამდე, ხოლო 2006 წლის შემდეგ ყაზახებმა საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდოლოგია შეცვალეს და სასურსათო და არასასურსათო კალათების წილი მინიმალურ სამომხმარებლო კალათში 60/40-ზე შეადგენს. ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ სასურსათო კალათის შემადგენლობასთან ერთად განიხილავენ ფსევდო-არასასურსათო კალათს, რომელიც აერთიანებს: ტანსაცმელს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, საბინაო ხარჯებს (მათ შორის კომუნალურსაც), განათლების, ჯანდაცვისა და ტრანსპორტირების ხარჯებს. ამ მეთოდოლოგიას იყენებენ აშშ-სა და კანადაში, სადაც საარსებო მინიმუმის გაანგარიშებისას ფსევდო-არასასურსათო კალათის ღირებულებას ყოველთვის ითვალისწინებენ.**

**ხათუნა ჩიგოგიძე**

გაემგზავრეთ შეუფერხებლად...

# როგორ მივიღოთ შენგენის ვიზა?

**მომავალი წლის ბოლოდან საქართველოს მოქალაქეებს ევროპაში გასამგზავრებლად ვიზები აღარ დასჭირდებათ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს. მას აქვს სამოქმედო გეგმა, რომელმაც საბოლოოდ ვიზის ლიბერალიზაციის პროცესამდე უნდა მიგვიყვანოს.**



„როგორ მივიღოთ შენგენის ვიზა?“ და „უვიზო მიმოსვლა ევროპაში – საქართველოს პერსპექტივა“ – ეს იყო ის თემები, რომელზეც **ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ოფისში იმსჯელეს.**

შეხვედრას უძღვებოდნენ პოლონეთის შტეფან ბატორის ფონდის წარმომადგენელი კრიჟიშტოფ მროზეკი და ფონდის ევროინტეგრაციის პროგრამის მენეჯერი ივანე ჩხიკვაძე. სახელმძღვანელო მოამზადა კოალიცია „უვიზო ევროპამ“. ეს ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს, რათა დაჩქარდეს ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი მისი აღმოსავლეთის მეზობლებთან, რაც საბოლოოდ გამოიწვევს სავიზო რეჟიმის გაუქმებას.

სახელმძღვანელო საინტერესოა იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ ევროპის მონახულება. მათთვის აქ ძალიან მარტივად არის გაწერილი ყველა ის პროცედურა, რომელიც მოქალაქემ უნდა გაიაროს – სააპლიკაციო ფორმის შევსებიდან – ევროკავშირში მგზავრობამდე.

შენგენის ვიზა მოქმედებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობაში. მხოლოდ, უნდა იცოდეთ, რომ „C ტიპის“ ვიზა არ მოქმედებს დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში. ამ ქვეყნებში სამოგზაუროდ საჭიროა ცალკე ვიზა. თუმცა, შენგენის ვიზა საშუალებას გაძლევთ, იმოგზაუროთ ნორვეგიაში, შვეიცარიაში, ლიხტენშტაინში, და გარკვეულ პირობებში, რუმინეთში, ბულგარეთსა და კვიპროსში.

არსებობს „D ტიპის“ ეროვნული ვიზა. ეს ვიზები გაიცემა ერთ კონკრეტულ ქვეყანაში უფრო გრძელვადიანი ვიზიტებისთვის, და როგორც წესი, შენგენის ზონის სხვა ქვეყნებში გამგზავრების საშუალებასაც იძლევა.

უფრო მეტი დეტალების გასარკვევად უნდა ესტუმროთ ვებგვერდს „www.visa-free-europe.eu“. ეს არის ოფიციალური სახელმძღვანელო, რომელიც გაფორმებულია საქართველოსა და ევროკავშირს შორის და რომ ელიც მიეხმარება ვიზის მიღების მსურველებს.

სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ „სამწუხაროდ, ვიზა არ წარმოადგენს შენგენის ზონაში შესვლის გარანტიას. თქვენ შესაძლოა, უარი გითხრან საზღვრის გადაკვეთაზე, თუ ვერ შეძლებთ ვიზიტის მიზეზის ახსნას, ან ვერ დაადასტურებთ, რომ გაქვთ საკმარისი თანხა თქვენი შენგენის ზონაში ყოფნის ხარჯების დასაფარავად. გახსოვდეთ, რომ შენგენის ზონაში თქვენი არშეშვება ყოველთვის არ ნიშნავს, თქვენი ვიზის ბათილად ცნობას ან გაუქმებას“.

**ასე რომ, ვიდრე უცხოეთში გამგზავრებას გადაწყვეტდეთ, მოსალოდნელი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, უმჯობესია, ყველა ნიუანსი ზედმიწევნით გულისყურით გააცნობიეროთ და გაარკვიოთ...**

**ნია ფიფია**

კაკალ გულში

## ნეხციროვანი თეხაზები

● **ხვალ კანცელარიასთან ვიკრიბებით მამაკაცები არყის ბოთლებით, ლუდით და სხვა საოჯახო ატრიბუტებით.**

**ვაპროტესტებთ ცოლების აგრესიას ამ აუცილებლობების წინაალმდეგ!**

● **გინდა აიფონ 6? გახდი სოფლის მეურნეობის მინისტრი! უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის აიფონ 5-ს დაერხა, უკვე დემოვი ნივთია. მოვითხოვ, ხვალვე შევუძინოთ ირინა იმერლიშვილს აიფონ 7.**

● **რომეო მონტეგმა და მაკბეტ ველიჯანაშვილმა, რაო განაჩენზე?**

● **არ ვიცი რა მაზოხიზმია? ერთადერთი ვოლსკი და ხიდაშელი იგებენ დებატებს.ნუ ბესელია, მეტ-ნაკლებად. დანარჩენები რაზე მიდიან,ამიხსენით ვინმემ. 100:0 აგებენ.**

● **ისე ნაცები რატო ნერვიულობენ ნეტავ, პარლამენტში ეგენი სხედან,პრეზიდენტი მაგათი მეგობარია, პითონს ამნეზია დაემართა, ეს ჩვენ გვაქ სანერვიულო, თორე მაგათ რა.**

● **მალე ფოტოგრაფების საქმეს მსვლელობა მიეცემა.. აბდალაძე პროკურატურაშია ჩვენებისთვის.**

● **„რუსთავი-2“-ზე გადაცემა „არჩევანი“ „გააცინე და მოიგე“-ში გადაიზარდა.**

● **„ქართულ ოცნებას“ ფული რომ დასჭირდეს, უსუფაშვილში 75 000 ევროს მისცემს ვითომ ვინმეს?**

● **სტატისტიკის დეპარტამენტიიი!**

**შენ მოსახლეობას აღწერ თუ დაკითხვას უწყობ?**

**ინტერვიუერმა 2 კვირაში 400 ლარად ასეულობით ოჯახი უნდა აღწეროს, თან მარტომ უნდა იაროს ოჯახებში! ურთულესად შედგენილი კითხვარი გაქვთ, სად აქვს ხალხს მაგის დრო და ნერვები 3 საათი დაგისხდნენ.**

**წაგებული ამბავია ეგ, მაგრამ ამაში ხომ არ გამოტყდებით! ეტყობა, თავი გეფხანებათ შიგნიდან! ვაი საცოდავო საქართველოვ, უტვინო სტატისტიკოსების ხელში. ნეტა ირაკლიმ თუ იცის ეგ ამბავი?**

**ამოკრიბა**

**გია გაბრიჭიძე**

ალიან-ჩალიანი

## ფოთში დევნილთათვის საცხოვრებელი კორპუსები კეთილმოეწყობა

**ფოთში, დევნილთა საცხოვრებელი კორპუსების თბო და ჰიდროიზოლაციის შეფუთვა მოხდება, – შესაბამისი საკითხი მთავრობის სხდომაზე დაამტკიცეს.**

**როგორც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა, ამ მიზნით ბიუჯეტიდან ორნახევარი მილიონი ლარი არის გამოყოფილი.**

**„საუბარია წინა ხელისუფლების დროს აშენებული 32 კორპუსის შეფუთვაზე, ეს არის ის კორპუსები, რომლებიც წვიმისგან და ქარისგან ირეცხებოდა და რომლებშიც გათბობა კი იყო მაგრამ ცალფად ნაშენი კედლები სითბოს ვერ ინარჩუნებდა. მით უმეტეს, ისეთი ნესტის პირობებში, როგორიცაა ფოთში. მთავრობამ დაამტკიცა ეს ხაზი. მალე გამოცხადდება კონკურსი. მინდა, მივულოცო ჩვენს დევნილებს, რომ ძალიან მალე მათ ექნებათ აბსოლუტურად სტანდარტული სახლები, სადაც გაცილებით ადვილი იქნება სითბოს შენარჩუნება“, – განაცხადა სოზარ სუბარმა.**

**მისივე თქმით, საუბარი არ არის მხოლოდ სითბოს შენარჩუნებაზე, ვინაიდან ეს იზოლაცია რომ არ მომხდარიყო რამდენიმე წელიწადში სახლები ნგრევის პირას იქნებოდა მისული.**

## 1. რუსეთთან ურთიერთობების დალაგება – გამოწვევები და პერსპექტივები

**2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რომელიც რუსეთის აგრესიით, მედვედევ-სარკოზის დღემდე შეუსრულებელი ხელშეკრულებით და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის უკანონო აღიარებით დასრულდა, საქართველომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით წინ ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწია. მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებში დღემდე უკვე ჟენევის მოლაპარაკებების 29 რაუნდი შედგა, ისინი პრაქტიკულად უშედეგოდ დასრულდა, ხოლო ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობები ამ ეტაპზე ჩიხშია შესული.**

1 ნოემბერს 2 წელი სრულდება, რაც ზურაბ აბაშიძე რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის რანგში მუშაობს. აბაშიძე-კარასინის რამდენიმე შეხვედრის შედეგად, თანდათანობით აღდგა სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები, სულ უფრო ინტენსიური ხდება ორ ქვეყანას შორის სატრანსპორტო მიმოსვლა. რუსეთის ფედერაციასთან რთული ურთიერთობების მიუხედავად, შეიცვალა საქართველოს ხელისუფლების რიტორიკა რუსეთთან მიმართებაში.

„ამ შემთხვევაში უნდა მოვიქცეთ გააზრებულად, დიპლომატიურად და გავაცნობიეროთ, თუ ვინ არის ჩვენი მეზობელი", — განაცხადა ყოფილმა პრემიერმა 2013 წლის მარტში. „მანიაკალური მტრობა, რომელიც საქართველოს წინა ხელისუფლების მიერ ღვივდებოდა, წარსულში დარჩა", — აღნიშნა რუსმა დიპლომატმა გრიგორი კარასინმა ზურაბ აბაშიძესთან გამართული ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ. „ემოციურმა პატრიოტობამ და ემოციურმა პოლიტიკამ დაგვანახა, თუ როგორ ჩიხში შევედით. პრაგმატულები უნდა გავხდეთ და რუსეთთან ურთიერთობა უნდა დავალაგოთ, რაც ადვილი არ იქნება", — განაცხადა სატელევიზიო ეთერში სკოლა „ლოგოსის" დირექტორმა გია მურღულიამ.

ურთიერთობების ოდნავ „დათბობის" ფონზე რუსეთი ჯერჯერობით არ აპირებს საქართველოს 2 რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარების გაუქმებას, უგულებელყოფს რა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის მიმართ საერთაშორისო თანამეგობრობის მტკიცე მხარდაჭერას. პირიქით, ჩრდილო მეზობელი აფხაზეთისა და რუსეთის გაერთიანებული საჯარისო ფორმირებების შექმნას გეგმავს, რამაც, შესაძლოა, ახალი ბზარი წარმოშვას ქართულ-რუსულ ურთიერთობებში.

ჩრდილო მეზობელი თავის პოლიტიკაში კიდევ უფრო შორს წავიდა, მიიერთა რა ყირიმი და უფრო მეტიც, უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში, ე.წ. დონეცკისა და და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების ბაზაზე, ცდილობს ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის — „ნავაროსიის" შექმნას. ამგვარად, რუსეთმა კიდევ ერთხელ დაარღვია მსოფლიო წესრიგი, თვითნებურად შეცვალა რა სხვა სახელმწიფოს საზღვრები. ამ გზაზე რუსეთს ჯერჯერობით ვერც დასავლეთის მიერ დაწესებული სერიოზული ეკონომიკური სანქციები აჩერებს. აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ დაახლოებით ერთი თვის წინ განაცხადა, რომ იგი გამორიცხავს ნატოსა და რუსეთს შორის სამხედრო დაპირისპირებას.

რთულია ითქვას, თუ რით დასრულდება სამხედრო დაპირისპირება უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში და რა დღეში აღმოჩნდება მომავალში ამჟამად კრიზისის საწყის ეტაპზე მყოფი რუსეთის ეკონომიკა; სადამდე განაგრძობს რუსეთი თავის იმპერიულ პოლიტიკას და როდემდე აპირებს დიდი რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების ჩამონათვალში ისეთი ქვეყნების გვერდით დგომას, როგორებიცაა ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ. ერთი რამ ფაქტია, რომ საერთაშორისო საზოგადოება თითქმის აღარ საუბრობს ყირიმის საკითხთან დაკავშირებით. ამასობაში რუსეთი ევრაზიული კავშირის ფორმირებითაა დაკავებული, რომელსაც ახლახანს მეზობელი სომხეთიც შეუერთდა. ამ პროცესის პარალელურად, რუსეთი შეუდგა სხვადასხვა სატრანსპორტო კორიდორების რეაბილიტაციას. ერთ-ერთი მათგანი დაღესტნისა და კახეთის დამაკავშირებელი გზის ამოქმედებას გულისხმობს.

საქართველოში ხშირად ისმის კითხვა, თუ ვინ დაიწყო ომი ცხინვალის რეგიონში. პასუხი მარტივია: სამაჩაბლოს ქართული დასახლებების მიმართულებით განხორციელებული არაერთი სამხედრო პროვოკაციის შემდეგ ხელისუფლება სეპარატისტულ რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას შეუდგა, რასაც რუსეთის მხრიდან მასშტაბური სამხედრო აგრესია მოჰყვა. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ისინი არ მოელოდნენ რუსეთის ასეთ რეაქციას. ფაქტია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული 2008 წლის სამხედრო აგრესიის ვერც პრევენცია და ვერც მისთვის ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა, რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი ადამიანური მსხვერპლი, მორალური და მატერიალური ზარალი, ტერიტორიების ოკუპაცია.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, საქართველოში არ წარმოებდა კავკასიის და ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ რუსეთის და მისი პოლიტიკის სიღრმისეული ანალიზი, აგრეთვე იმის ანალიზი, თუ რა გზას აირჩევდნენ და ვის მხარეს დადგებოდნენ აფხაზები და ოსები სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში. საფრთხეების სათანადო შეფასება და კრიტიკული სიტუაციიდან გამოსავლის ძიება ძირითადად მხოლოდ პოსტ-ფაქტუმ ხდებოდა. შესაბამისად, საქართველოს სახელისუფლებო წრეების ბოლომდე გაუთვლელი პოლიტიკის და რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შედეგად, საქართველომ დროებით კონტროლი დაკარგა აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე, ხოლო პოლიტიკური ურთიერთობები რუსეთსა და საქართველოს შორის ჩიხში შევიდა.

# შესვლა




# აკრძალულია!

თუმცა, პოლიტიკის მიღმა, ერთმორწმუნე რუსებს და ქართველებს გაცილებით მეტი რამ აკავშირებს და აახლოვებს, ვიდრე ყოფს. ისინი პატივს სცემენ ერთმანეთის კულტურას, ხელოვნებას, ისტორიას, ტრადიციებს; ერთად იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ, რაც სამომავლოდ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების ერთგვარ წინაპირობას წარმოადგენს.

## 2. ნატო საქართველოსთვის - კარი ღიაა, შესვლა აკრძალულია

**2008 წლის აპრილში გამართული ნატოს ბუქარესტის სამიტის შემდეგ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კარი საქართველოსთვის დეკლარირებულად ღიაა. 2014 წლის სექტემბერში ნატოს უელსის სამიტზე აღიარებელ იქნა საქართველოს პროგრესი. შედეგად, ქვეყანამ ალიანსისგან გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტი მიიღო. „საქართველომ მიიღო არსებით ღონისძიებათა ისეთი პაკეტი, რომელიც ნატოს არც ერთ სხვა ასპირანტ ქვეყანას არ მიუღია. ნატოელი პარტნიორები ჩვენს შეიარაღებულ ძალებთან და ჩვენს სხვა პარტნიორებთან ერთად განაგრძობენ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის და საქართველოს ნატოსთან თავსებადობის კუთხით აქტიურ მუშაობას, რაც მიმართული იქნება ქვეყნის ნატოში გაწევრიანებისთვის მოსამზადებლად", — განაცხადა სამიტის შედეგების კომენტირებისას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა.**

თუმცა, მნიშვნელოვანია, თუ როგორი განწყობა აქვთ ნატოს წევრ ცალკეულ სახელმწიფოთა ლიდერებს საქართველოს შესაძლო გაწევრიანებასთან დაკავშირებით. „თქვენ ვერ გახდებით ნატოს წევრი ქვეყანა მანამ, სანამ არ იქნება გარანტია იმისა, რომ საქართველო ნატოს წევრობას რუსეთთან დასაპირისპირებლად არ გამოიყენებს. ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ, მაგრამ ამავდროულად ვართ რუსეთის პარტნიორებიც", — განაცხადა ერთი წლის წინ გაზეთ „კვირის პალიტრასთან" ინტერვიუში გერმანიის ელჩმა საქართველოში ორთვინ ჰენიგმა. მისი თქმით, საქართველომ ასევე უნდა გააცნობიეროს, რომ „მეორე მსოფლიო ომის შემდგომ რუსეთთან ჩამოყალიბებული სტატუს-კვო და პოლიტიკური ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია არა მარტო გერმანიისთვის, არამედ მთელი დასავლეთ ევროპისთვის".

ჯერ კიდევ 2008 წელს გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა: „ჩვენ არ უნდა მივიღოთ ნატოში ქვეყნები, რომლებსაც უსაფრთხოების პრობლემა აქვთ და რეგიონულ ან შიდა კონფლიქტებში არიან ჩათრეულნი". ამგვარად, ნატოსკენ სავალ გზაზე საქართველოსთვის სერიოზულ პრობლემად შეიძლება იქცეს მისი წევრი ქვეყნების (პირველ რიგში იტალიის, გერმანიის და საფრანგეთის) სავარაუდოდ უარყოფითი პოზიცია ალიანსში საქართველოს წევრობასთან მიმართებაში იმის გამო, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია. ამ პირობებში, საქართველოს ტერიტორიაზე ნატოსთან ერთობლივი საწვრთნელი ცენტრის გახსნა იგეგმება. ოფიციალურმა მოსკოვმა, რომლის სამხედრო ბაზებიც საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად აფხაზეთსა და სამაჩაბლოშია განლაგებული, უარყოფითი პოზიცია ამ ფაქტის მიმართ უკვე დააფიქსირა.

ამგვარად, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების აქტიური ძალისხმევის მიუხედავად, საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტების რეალიზება — ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება რეალურად კვლავაც შორეულ პერსპექტივას წარმოადგენს. თუმცა, საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი უცვლელია. ნატოს მომდევნო სამიტის გამართვა 2016 წელს პოლონეთში იგეგმება.

## 3. „ოცნების" მმართველობის „ეკვატორი" გადალახულია – რა იქნება შემდეგ?

**საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა „ქართულმა ოცნებამ" საარჩევნო ვადის ნახევარი ამოწურა. როგორია მმართველი ძალის პერსპექტივები 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში, არსებული რეალობიდან გამომდინარე? დღეს საქართველო საკმაოდ რთულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანაა, უპირველეს ყოვლისა, ტერიტორიული, ეკონომიკური და აქედან გამომდინარე, არსებული სხვა არაერთი პრობლემით.**

ამჟამინდელი პარლამენტის 60%-იანი უმრავლესობა უპირატესად ივანიშვილისადმი საზოგადოების მაღალი ნდობის შედეგად იქნა არჩეული. დაახლოებით 40%-იანი უმცირესობა წინა ხელისუფლებას განასახიერებს. პრეზიდენტი მარგველაშვილი, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ ასევე ყოფილი პრემიერის ავტორიტეტის გათვალისწინებით აირჩია, გარკვეულწილად კონკურენციაში აღმოჩნდა საკუთარ მთავრობასთან. დავა და კონკურენცია იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ხელმძღვანელობდეს სახელმწიფო დელეგაციას ამა თუ იმ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმზე თუ ხელშეკრულების ხელმოწერისას - პრემიერი თუ პრეზიდენტი — არაერთხელ იქცა მედიისა და საზოგადოების სპეკულაციის საგნად, რაც ქვეყნის იმიჯს აზარალებს. პრეზიდენტმა ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე შეცვალა საკუთარი გადაწყვეტილება, არ გადასულიყო ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციაში, რამაც პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, ასევე პრეზიდენტსა და ყოფილ პრემიერს შორის ურთიერთობები გაართულა.

სახელისუფლებო შტოებს შორის ამგვარი დამოკიდებულების და ქვეყანაში არსებული პრობლემების ფონზე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები რევანშს და ხელისუფლებაში დაბრუნებას გეგმავენ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პრობლემა სათავეს ნაციონალური მმართველობის პერიოდიდან იღებს, „ქართული ოცნების" ხელისუფლებას გაცილებით მეტი ძალისხმევა მოუწევს იმისთვის, რომ დარჩენილ ორ წელიწადში საზოგადოებისთვის მიცემული დაპირებები შეასრულოს.

დღევანდელი ხელისუფლება კი საკუთარ საქმიანობას წარმატებულად მიიჩნევს, ნაცვლად იმისა, რომ თვითკრიტიკით დაკავდეს და არსებული პრობლემების გადაჭრის კონკრეტული გზები დასახოს. უფლებამოსილების მხრივ ქვეყნის ფაქტობრივი პირველი პირი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც თავად საკმაოდ აქტიურია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, საკუთარი მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაში ხარვეზებს თითქმის ვერ ხედავს. შესაბამისად, ნაკლებია კრიტიკა სამთავრობო უწყებების მისამართით, რაც მთავრობის მუშაობაზე დადებითად ვერ აისახება. საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ამომრჩეველთა დაბალმა აქტიურობამ აჩვენა, რომ საზოგადოება უფრო მეტს ელის იმ პოლიტიკური ძალისგან, რომელიც თავად მოიყვანა ხელისუფლებაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად.

**ვასილ კაპანაძე**

# „ორგანიზებული ქაოსის“ შორს მიმავალი გეგმები

**გასული თვის ბოლოს ექსპერტთა ყურადღება მიიპყრო სტრატფორის (Stratfor) სადაზვერვო-ანალიტიკური კერძო კომპანიის პრეზიდენტის ჯორჯ ფრიდმანის სტატიამ „უკრაინა, ერაყი და შავი ზღვის სტრატეგია“, სადაც ავტორი პირდაპირ წერს, რომ აშშ უკრაინის მოვლენებს განიხილავს რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებაზე სტრატეგიული თავდასხმის კუთხით, რაც თავისთავად გამოიწვევს მსოფლიო უწესრიგობის ახალ გეოსტრატეგიაზე გადასვლას.**

აშშ ის სახელმწიფოა, რომელსაც ხელეწიფება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ისეთი დავიდარაბის შექმნა, მრავალი წლის განმავლობაში რომ „ცხელ წერტილად“ დარჩება. კონფლიქტებში, რომლებშიც აშშ პირდაპირ თუ ირიბად არის ჩართული, რეგიონული ყურადღების კონცენტრაციას მოითხოვს, რაც დაკავშირებულია სამხედრო ხარჯებთან, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუარესებასთან, ქვეყნების ეკონომიკური მაჩვენებლების შემცირებასთან, ინფრასტრუქტურის ნგრევასთან, ადამიანთა მსხვერპლთან.




ორგანიზებული, კონტროლირებადი ქაოსი, რასაც ადგილი აქვს ახლო აღმოსავლეთში, ისრაელ-პალესტინელთა ნახევარსაუკუნოვანი ომით; აშშ-ის აგრესიით გამოწვეული ერაყის უმძიმესი ვითარებით; სუნიტებისა და შიიტების დაპირისპირებით ერაყში, მეზობელ სირიაში და ამ უკანასკნელის ვაშინგტონის სამიზნეში ამოღებით; გაუთავებელი ომით ავღანეთში და ომით გამოწვეული დაძაბულობის გავრცელებით მეზობელ პაკისტანსა და სხვა ქვეყნებში;

ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან ავის მომასწავლებელი ვერბალური კინკლაობით, ლამის სამხედრო დაპირისპირებაში გადასულით; უკრაინის ფაშიზმის რეანიმაციით, ამ ქვეყნის სამოქალაქო ომით, ეკონომიკის დაცემით, ინფრასტრუქტურის ნგრევით, მსხვერპლით, ახალი გეოსტრატეგიის ის მაგალითებია, რომლებიც ეფუძნება მსოფლიო უწესრიგობის პრინციპებს, ესოდენ ხელში ნაგოგმანებს აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ.

აშშ-ის მსოფლიო ბატონობას ესაჭიროება საყოველთაო ქაოსის შექმნა-განვითარება, თუნდაც ხმამაღლა ლაპარაკი მსოფლიო ომზე. ამერიკელი მეცნიერები და საერთაშორისო საკითხების მცოდნე ექსპერტები თავს უხერხულად სულაც არ გრძნობენ, როდესაც სისტემატურად ახსენებენ შემაშინებელ ტერმინს — „მსოფლიო ომს“. მათი გათვლებით, დედამიწა დაინგრევა, მაგრამ არც ისე, რომ სიცოცხლე შეწყდეს. ცხოვრება გაგრძელდება, ახალ პირობებში, ახალ ვითარებაში. ეკონომიკური კრიზისი დასრულდება, ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

მსოფლიო ომში გამარჯვებულს (გამარჯვებულში კი აშშ მოიაზრება) მსოფლიო პოლიტიკური რუკის გადაკეთების, ახალი ბაზრების დაპყრობის, ძველი ვალების ჩამოწერის, საერთაშორისო არენაზე თამაშის ახალი წესების დაწესების შესაძლებლობა ექნება და ა.შ.

ვაშინგტონელ სტრატეგთა გათვლით, აშშ-ს სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა ჩინეთის სახით. მართალია, ერთ სულ მოსახლეზე ჩინეთის წლიური შემოსავალი გაცილებით ჩამოუვარდება ამერიკისას, მაგრამ ამ ქვეყნის ყოველმხრივი განვითარების ტემპი გვიკარნახებს მის სრულ წარმატებას და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მეორე ადგილიდან პირველზე გადანაცვლებას.

მილიარდნახევრიანი, მიზანმიმართულად მომუშავე ჩინეთი აშშ-ის უდიდესი თავსატკივარია, რაც თავისთავად შობს ამერიკელი სტრატეგების თავში ჰონგკონგის მსგავსი საყოველთაო ბუნტებისა და დაუმორჩილებლობის წარმოშობა-წახალისებას.

სულ ახლახანს, ვაშინგტონში ვიზიტის დროს, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოლაპარაკებისას, ჩინელმა სტუმარმა კატეგორიულად განუცხადა მასპინძელს, რომ ჰონგკონგი ჩინეთის პრობლემაა და გარედან ჩაურევლად შეძლებს პეკინი მის მოგვარებას.

ერთობლივი პრესკონფერენციის დროს სტუმრის პოზიციის კატეგორიულობა მის სახეზე იყო აღბეჭდილი.

ჩინეთამდე დიდი გზაა გასავლელი, მას რუსეთი ჰქვია, რომლის მორჯულება აშშ-მა ვერა და ვერ მოახერხა. „მორჯულების“ გეგმასთან ერთად ვაშინგტონმა რუსეთის დაშლის გეგმაც აამოქმედა, პარალელურ რეჟიმში. პოსტსაბჭოთა სივრცის „ფერადყვავილოვანი“ რევოლუციები გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო.

არანაკლები ენერგია ჩააქსოვა აშშ-მა ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების „დემოკრატიული აღზრდის“, მე ვიტყოდი, სრული გადაგვარებისა და ყოველივე საკუთარის, ეროვნულის წინააღმდეგ ამხედრების საქმეში.

ამ თვალსაზრისით შესაშური წარმატებებია მიღწეული საქართველოში, ერთობ მცირემოსახლიან ქვეყანაში. აქ, ოცი ათასზე მეტმა ახალგაზრდამ გაიარა ამერიკული ტრენაჟი და სამშობლოს დაუბრუნდა გადაგვარებული აზროვნებით, ყოველივე ამერიკულის ქებით, საკუთარის ძაგებით და რაც მთავარია, აშშ-ის მტრის რუსეთის მიმართ ამერიკელზე მეტი სიძულვილით.

აშშ-ის მიერ სხვადასხვა სახის საერთაშორისო ბანაკებში ნავარჯიშებ ქართველ ახალგაზრდებში, უფრო მეტი სიძულვილის გაღვივება იყო საჭირო და აი, ისიც — ცხინვალის ომი, სააკაშვილის — აშშ-ის სპეცსამსახურების კადრის მიერ დაწყებული.

ცხინვალის ომში, დამარცხებამ (სააკაშვილისა და აშშ-ში გაწვრთნილი ნაცების მიერ გამარჯვებად მონათლულმა), ცხადჰყო აშშ-ს მიერ შემუშავებული „პროექტის“ (რუსეთის გამოცდა) უსუსურობა. ეს ერთის შეხედვით.

სინამდვილეში ცხინვალის ომით, ვაშინგტონმა კავკასიაში, საქართველოს ტერიტორიაზე, შექმნა მართვადი ქაოსი, დაჰყო საქართველოს ტერიტორია, სამარადისო საძაგებლად გახადა რუსეთის სახელი მთელს მსოფლიოში და ისე გადაჰკიდა საქართველოს მომავალი (ახალგაზრდობა) მეზობელ მართლმადიდებელ რუსეთს, გაჭირდება ვითარების უკეთესობისკენ შემობრუნება.

დღევანდელი საქართველო, ევროკავშირთან ასოცირებული, ნატოს კარზე მოძუძგურე, ეკონომიკადაქცეული და თინეიჯერულ ენისტლიკინად ქცეული, აღარაფერ თავშია. პროამერიკული ნაციონალური ხელისუფლება, პროამერიკული „ოცნების“ კოალიციით ჩანაცვლდა. ჯამი არ შეიცვალა, ცხადია, არც ცხოვრება, მაგრამ განმტკიცდა ევროატლანტიკურობა, დასავლურის გაფეტიშება, დასავლეთისკენ ლტოლვა.

საქართველოს პარალელურად ბევრი გაკეთდა უკრაინის „გასადემოკრატებლად“ და მიზანიც ვიხილეთ — დაშლილი უკრაინის სახით, რუსეთზე გამძვინვარებული უკრაინელის, განსაკუთრებით ახალგაზრდების ზენიტში აყვანილი მტრობით რუსეთის და რუსის მიმართ.

ვაშინგტონმა მოახერხა უკრაინული ქაოსში გადაჩეხვა, ეკონომიკის დაქცევა და, რაც მთავარია, სამოქალაქო ომის გაღვივება. შეიქმნა „ცხელი წერტილი“ რუსეთის საზღვართან, რომელიც სულ მალე ყველაზე დაცულ საზღვრად გადაიქცევა მსოფლიოში — ჩინეთის მსგავსი კედლით და ტანკსაწინააღმდეგო თხრილით — 2000 კილომეტრზე გადაჭიმულით. ამის მოთავე, ვაშინგტონთან შეთანხმებით, კიევის ხელისუფლებაა.

აშშ-მა მოახერხა უკრაინელთა სულებში რუსეთის მიმართ ისეთი სიძულვლის დათესვა, გერმანულმა ფაშიზმა რომ ვერ შეძლო. ვაშინგტონმა, ევროკავშირთან ერთად ააღორძინა უკრაინული, ბანდერული ფაშიზმი, რომლის სამიზნე რუსეთია. ვაშინგტონმა შექმნა მრავალი „ქაოსი“, მათ შორის უკრაინული, მაგრამ უკრაინული ფაშიზმი მარტო რუსეთისკენ მიმართა?

ვეჭვობ, ის ამას არ დასჯერდება და გეზს დასავლეთისკენაც აიღებს, ისე, როგორც სირიის წინააღმდეგ აშშ-ის მიერ გაწვრთნილმა მოჯახედებმა, მწვრთნელი ამოიღეს მიზანში.

ვეთანხმები ჯორჯ ფრიდმანს, რომ უკრაინა, ერაყი და სირია სამხედრო მოქმედებათა ცალკე თეატრი არ არის. ის ერთიანი თეატრია, რომლის ცენტრში შავი ზღვაა. ამ სამხედრო თეატრში აშშ-ს 2 მოწინააღმდეგე ჰყავს — რუსეთი და „ისლამური სახალიფო“, რომლებიც ერთმანეთთან ანტაგონისტურად არიან განწყობილი. მაგრამ იქნებ სულ სხვაგვარადაა საქმე, ანუ „ისლამური სახალიფო“ არა მტერი, არამედ აშშ-ის სრული და, რაც მთავარია, ძვირფასი მოკავშირეა?

მიზანი — ახლო აღმოსავლეთში მსხვილი ქაოსის შექმნა, საიდანაც არასტაბილურობა გავრცელდება ევროპაზე, რუსეთზე, ჩინეთზე და რაც მთავარია, გზას გაუხსნის აშშ-ს სირიის რეჟიმის დამხობისკენ. აშშ-მა იერიში მიიტანა სირიის ნავთობგადამმუშავებელ ქარხნებზე, იმ საბაბით, თითქოს მათ „ისლამური სახალიფოს“ მოჯახედებიაკონტროლებენ.

ოთხი წელიწადია მიმდინარეობს სირიის ომი. სხვათა შორის, რატომღაც ომის დაწყება დაემთხვა 2011 წლის 25 ივნისს ირანის ქ.ბუშერაში ირან-ერაყ-სირიის ნავთობსადენის მშენებლობის მემორანდუმის გაფორმების დღეს. მანამდე, 2009 წელს, სირია აშშ-ის მტერი ქვეყნების ჩამონათვალში შევიდა, ვინაიდან სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა უარი თქვა ამერიკულ პროექტზე ყატარ-სირია-ევროპის მილსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ყატარი, აშშ-ის მოკავშირეა. ასადმა ამერიკულ გეგმას ირანული ამჯობინა და დაიწყო სირიის პრეზიდენტის წინააღმდეგ ომი, რომელშიც „ალ-ქაიდა“,აშშ-ის მიერ დაფინანსებული, სხვა რადიკალური ისლამისტური ჯგუფები იყო ჩართული. დღეს, ისინი „ისლამურ სახალიფოში“ არიან.

ბაშარ ასადი, რომელსაც მხარს უჭერენ ირანი, რუსეთი და ჩინეთი, ძნელად მოსადრეკი მმართველი გამოდგა. მართალია, რეაქციულმა ისლამურმა დაჯგუფებებმა სირიის გარკვეულ რაიონებში წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ დამასკო ვერ აიღეს.

ვითარების გამოსასწორებლად და ვითომდა ასადის ხელისუფლების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების საბაბით, შარშან აგვისტოში ვაშინგტონმა სირიის დაბომბვა. გადაწყვიტა სირიის საბედნიეროდ, სექტემბრის დასაწყისში სანკტ-პეტერბურგის „დიდი ოცეულის“ სამიტის ფარგლებში, რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა დაიყოლია აშშ-ის პრეზიდენტი ობამა და ხელი აალებინა სირიის დაბომბვაზე.

ეს იყო აშშ-ის უდიდესი, ძალაუნებური დათმობა, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში. მაშინ ცოტა თუ იფიქრებდა, რომ ერთი წლის თავზე, ამერიკა დაბომბავდა სირიას, ვითომდა „ისლამური სახალიფოს“ მოჯახედთა განადგურების მიზნით.

სინამდვილეში ამ დაბომბვების მიღმა ასადის ხელისუფლების დამხობის პროექტი იმალება. აშშ-ის ავიაცია ბომბავს სირიის ტერიტორიაზე გამაგრებულ „ისლამურ სახალიფოს“. მაგრამ დაბომბვები ამ „სახელმწიფოს“ არ აშინებს, ვინაიდან დაბომბვებით ნაკლებად შესაძლებელია მობილური მოჯახედების განადგურება. ან რამდენის განადგურებაა შესაძლებელი?

„ისლამურ სახალიფოში“ 80 სახელმწიფოს მოჯახედი იბრძვის, მათ შორის საქართველოს მოქალაქეებიც. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ბოგდანოვის თქმით, „ისლამურ სახალიფოში“ 800-მდე რუსეთის მოქალაქე ომობს. ინტერნაციონალურ „სახალიფოში“ არც ფულის ნაკლებობას უჩივიან და არც იარაღის.

აშშ-ის მეცადინეობით, ორგანიზებული ქაოსის უდიდესი კერის „ისლამური სახალიფოს“ მომართული ისრები არა მარტო სირია-ერაყის ან ქურთების ავტონომიის წინააღმდეგ არის დამიზნებული, არამედ სირიის მეგობარი რუსეთის და შემდეგ ჩინეთის წინააღმდეგაც. ცნობისთვის - „ისლამურ სახალიფოში“ ჩინელი ექსტრემისტებიც არიან.

„სახალიფოს“ განცხადება რუსეთში და კავკასიაში ომის აგორებასთან დაკავშირებით უყურადღებოდ არ დარჩება უკრაინელ ყავისფერებში, განსაკუთრებით დიმიტრი იაროშსა და მის „ნაციონალურ გვარდიაში“. იაროშმა ხომ დახმარებისთვის ჩეჩენ დოკუ უმაროვს მიმართა, სავარაუდოა, რომ თუმცა ადრესატი უკვე იმ ქვეყნად იყო. ამქვეყნიურები კი „სახალიფოში“ ბევრნი არიან. მათთნ კავშირი საერთო მტრის, რუსეთის წინააღმდეგ, ადვილი დასამყარებელია.

ევროსაბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტის კომენტირებისას საქართველოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა დანანებით აღნიშნა, რომ დასავლეთმა უკრაინის მოვლენებს უფრო მეტი ყურადღება დაუთმო, ვიდრე 2008 წლის ცხივნალის ომს. მისი აზრით, ორივე, მზაკვრული გეგმის ერთი და იგივე სცენარია. სცენარის ავტორად ის უდავოდ რუსეთს მიიჩნევს. არადა, სავარაუდოა, რომ რუსეთიც, ისეთივე მსხვერპლია ამერიკული სცენარისა, როგორც საქართველო და უკრაინა.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# მოვიდა დრო, ახლებურად გავიაზროთ თბილისის ქალაქმშენებლობითი პრობლემები

**ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებმა, მერიის და საკრებულოს ახალმა შემადგენლობამ დასაბამი უნდა დაუდოს თბილისის განვითარების სერიოზულად გააზრებული პოლიტიკის ჩამოყალიბებას.**

**შექმნილი სიტუაციის მრავალმხრივი კრიტიკისას არ ყალიბდება პრობლემების გადაწყვეტის პროგრამა. ზოგადი დეკლარაციებით არ ისახება კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია. პრობლემების განყენებულად ან ცალმხრივად განხილვას მივყავართ დილეტანტურ შეფასებებამდე და არასწორ დასკვნებამდე.**

**პრობლემების განხილვა ყოველთვის მრავალი, ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტორის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს. ეს ის ჭეშმარიტებაა, რომელსაც ქალაქგეგმარებითი მეცნიერება ეყრდნობა.**

**დროა, გამოვიდეთ ფორმალური კრიტიკის ჩაკეტილი წრიდან და ჩამოვაყალიბოთ პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული გზები.**

**ვერ დავეთანხმები ჩემს პატივცემულ კოლეგებს, რომლებიც აცხადებენ, რომ შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელია. ასეთი მსჯელობა არაკორექტულია.**

**აქტიური მოქმედება სიტუაციის გასაუმჯობესებლად შესაძლებელია და დროული. ქვემოთ თეზისების სახით ჩამოყალიბებულია მიდგომები, რომლებიც გამოიყენება განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში.**

**ქალაქგეგმარებითი პოლიტიკის წარმოებაში და მართვაში მონაწილეობს სამი მხარე:**

**– თვითმმართველობა, ქალაქის ხელმძღვანელობა;**

**– საზოგადოება;**

**– პროფესიული ჯგუფები.**

ეს დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია. თვითმმართველობა, მისი შესაბამისი უწყებები მართავენ პროცესს, ღებულობენ საბოლოო გადაწყვეტილებებს, გასცემენ ნებართვებს; საზოგადოება ცალკეული მოქალაქეების ინიციატივებით, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობით, საჯარო განხილვებით და ა.შ., მონაწილეობს ამ პროცესში; პროფესიული ჯგუფები, არქიტექტურული ფირმები ქმნიან არქიტექტურულ პროდუქტს.

პროცესი წარიმართება სწორად, ანუ მაქსიმალურად გამოირიცხება შეცდომები მაშინ, როდესაც მყარდება ბალანსი ამ სამ მოთამაშეს შორის, ანუ ყველა მონაწილე კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. ევროპის ქალაქებში შეძლეს ამგვარი ბალანსის პოვნა. მთავარია, არ დავუშვათ სხვისი ფუნქციების და უფლებების მისაკუთრება, როგორც იქცეოდა ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც აცხადებდა, რომ თვითონ იყო არქიტექტორი და იცოდა, თუ რა, როდის, სად და ვის უნდა დაეპროექტებინა და აეშენებინა. შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. **ვოლუნტარიზმის გამოვლენა ქალაქგეგმარებით პროცესებში, როგორც წესი, სავალალოდ სრულდება.**

საზოგადოების წევრების მოქალაქეობრივი ვალია, დაიკავონ აქტიური პოზიცია, მოითხოვონ საჯარო განხილვები, თავიანთი მაქსიმალური ჩართულობა პროცესში.ჩვეულებრივ, ეს ხდება საზოგადოებრივი ჯგუფების, არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით. საზოგადოებრივი ჯგუფების პრეროგატივაა ცალკეული ინიციატივების წამოყენებაც. ასეთი სქემა თითქმის ბანალურად მარტივია, მაგრამ იგი უალტერნატივოა, მრავალჯერ აპრობირებულია და ეფექტიანად მუშაობს დემოკრატიულ ქვეყნებში. მესმის, რომ ამ სქემის ამუშავება შესაძლებელია მხოლოდ ხელმძღვანელობის, კერძოდ, თვითმმართველი ორგანოების მიერ თავისი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, მაგრამ აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ მიიღებ მაშინ, როდესაც მოითხოვ!

ვფიქრობ, რომ ამ საკითხის აქტუალობა დღეს განსაკუთრებულია.

***ყველა მცდელობა ქალაქში სიტუაციის გაუმჯობესებისა იქნება ფუჭი, თუ ვერ მოხერხდა ჩამოთვლილ მხარეებს შორის სწორი ბალანსის დამყარება, ანუ თუ პროცესის მართვა არ მოექცა სწორ კალაპოტში.***





## ქალაქის განვითარების სტრატეგია, მშენებლობის რეგლამენტაცია

**ქალაქის განვითარებაში დაშვებული შეცდომების ანალიზის დროს ხშირად კეთდება დასკვნა, რომ ამ შეცდომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ქალაქის მოქმედი გენგეგმის არარსებობაა.**

გენგეგმა, ანუ ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა, ქალაქგეგმარებითი დოკუმენტია, რომელიც სოციალისტური გეგმიური მეურნეობის პირობებში განსაზღვრავდა ქალაქის განვითარების სტრატეგიას. გენგეგმის მოთხოვნებს კანონის ძალა ენიჭებოდა. გენგეგმა მთლიანად მორგებული იყო გეგმიური მეურნეობის სისტემაზე. მას ჰქონდა დროში გაწერილი ქალაქგეგმარებითი პროგრამის სახე იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა კერძო საკუთრება მიწაზე, ხოლო გენგეგმაში აღწერილი მშენებლობები სრულდებოდა სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო მიწაზე. თბილისის ბოლო გენგეგმა მიღებული იქნა 70-იანი წლების დასაწყისში.

ცხადია, დღევანდელ სიტუაციაში გენგეგმა სრულიად მიუღებელია. თვით ტერმინი „გენგეგმა" იმდენად მჭიდროდ არის ასოცირებული საბჭოთა რეალობასთან, რომ მისი გამოყენება გაურკვევლობას იწვევს და სასურველია, მისი ხმარებიდან ამოღება. ხოლო როდესაც ვსაუბრობთ ქალაქის განვითარების სტრატეგიის ამსახველ დოკუმენტზე, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, სასურველია, სხვა ტერმინის, თუნდაც, „ქალაქის განვითარების სტრატეგიის გეგმის" გამოყენება*.

ისევ შევეცდები, მოვიშველიო ის დიდი გამოცდილება, რომელიც ევროპის განვითარებულ ქვეყნებს დაუგროვდათ ამ სფეროში.

როგორც წესი, ქალაქის განვითარების მართვის მწყობრი სისტემის ჩამოსაყალიბებლად მუშავდება „ქალაქის განვითარების სტრატეგიის გეგმა" (დასახელება პირობითია და შეიძლება დავამკვიდროთ იმავე მნიშვნელობის გამომხატველი სხვა ტერმინი). მას აქვს საკმაოდ ზოგადი ხასიათი და ასახავს საერთო ტენდენციებს. ხდება ქალაქის ზონირება ფუნქციური პრინციპით, ცენტრის საზღვრების, ისტორიული რაიონების გამოყოფით, სამრეწველო ზონების საზღვრების დადგენით და ა.შ. ამ დოკუმენტში მკაფიოდ აისახება სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების განვითარების პერსპექტივა. ეს შეიძლება იყოს ავტომაგისტრალები, საზღვაო პორტები, რკინიგზის მაგისტრალები, მეტროპოლიტენი, აეროპორტები და ა.შ.

ქალაქში შიდა ქალაქგეგმარებითი და სივრცითი გადაწყვეტილებების მიღება ხდება ზონირებისა და რეგლამენტაციის ძირითად დოკუმენტზე დაყრდნობით. ეს ის დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს ცალკეული ნაგებობების მოცულობებს, სიმაღლეს, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების კონკრეტულ ტერიტორიაზე აშენების მიზანშეწონილობას და ა.შ. არსებობს ქალაქგეგმარებითი საქმიანობის ნორმების კრებულიც, რომელიც ამკვიდრებს გარკვეულ წესებსა და მოთხოვნებს. ასე რომ, ყოველდღიურ საქმიანობაში ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურის დეპარტამენტი ხელმძღვანელობს სწორედ ამ ნორმატიული დოკუმენტებით. ამიტომ, როდესაც საუბარია იმის თაობაზე, რომ გარკვეული ნაგებობების განთავსების შესაბამისობა კითხვებს აჩენს, დასაყრდენად მიიჩნევა არა „გენგეგმა" ანუ „ქალაქის განვითარების სტრატეგიის გეგმა", არამედ ზონირების რეგლამენტაციისა და ქალაქგეგმარებითი ნორმების მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნები. სწორედ ამ დოკუმენტების დახვეწილი სახე და, რაც მთავარია, მათი მოთხოვნების უცილობელი შესრულება არის ის წინაპირობა, რომელიც შეიძლება პრობლემის გადაწყვეტის გასაღებად განვიხილოთ. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ ამ დოკუმეტებზე დაყრდნობისას გადაწყვეტილების მიღების დროს გამონაკლისი ძალიან იშვიათი უნდა იყოს. ხოლო საფასურის გადახდის შემთხვევაში კოეფიციენტების ანუ შენობის სიმაღლის გაზრდის პრაქტიკა, ჩემი აზრით, ანომალიურია.

წინა მთავრობის მიერ დეკლარირებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა უპირატესობას ანიჭებდა ბაზრის თვითრეგულაციის პრინციპებს. შესაბამისად, ქალაქის განვითარების სტრატეგიული გეგმის დამუშავებას მეორეხარისხოვანი როლი ენიჭებოდა.

ამდენად, დღევანდელ სიტუაციაში სწორი ქალაქგეგმარებითი პოლიტიკის გატარების აუცილებელი პირობაა ის, რომ დამუშავდეს ქალაქის განვითარების სტრატეგიის ახალი გეგმა, რეალური ეკონომიკური განვითარების ტენდენციებზე დაყრდნობით. დოკუმენტმა სრულფასოვნად უნდა ასახოს ის ტენდენციები, რომელიც ყალიბდება რეალურ გარემოში.

ასევე უნდა დამუშავდეს ან მოხდეს ძირეული კორექტირება იმ მარეგულირებელი დოკუმენტებისა, რომლებითაც ხდება მშენებლობის რეგლამენტაცია.

***ყველაზე მთავარია, საზოგადოებამ განახორციელოს მკაცრი კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რათა გამოირიცხოს მოქმედი ნორმების და წესების დარღვევა.***

## ტრანსპორტი

**შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ქალაქის ხელმძღვანელობას არ ჰქონდა ჩამოყალიბებული სატრანსპორტო სისტემის განვითარების სტრატეგიული ხედვა. ძირითადი აქცენტები კეთდებოდა საავტობუსო პარკის განახლებაზე და სატრანსპორტო კვანძების მშენებლობაზე.**

თბილისში ავტომობილების რაოდენობა, ისევე როგორც ბევრ სხვა ქალაქში, ყოველი 5-7 წლის განმავლობაში ორმაგდება. მცდელობა სიტუაციის გაუმჯობესებისა გზაჯვარედინების მოწესრიგებით, ქუჩების სავალი ნაწილების გაფართოებით, სატრანსპორტო კვანძების მშენებლობით მხოლოდ დროებით ამსუბუქებს შექმნილ წინაკოლაფსურ მდგომარეობას. ყოველივე ეს არ შეიძლება ჩაითვალოს სატრანსპორტო პრობლემის გადაწყვეტისადმი სტრატეგიულ მიდგომად.

***მთავარი სატრანსპორტო პრობლემის გადაწყვეტისას არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხვედრითი წილის ზრდა მგზავრთა რაოდენობის საერთო მაჩვენებელში. ანუ უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, როდესაც მოქალაქისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა უფრო მომხიბვლელი იქნება, ვიდრე ინდივიდუალური ტრანსპორტით. ანუ მოქალაქე ყოველდღიურ ცხოვრებაში არჩევანს უნდა აკეთებდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სასარგებლოდ.***

ეს ის მიდგომაა, რომელსაც იყენებენ ევროპის ქალაქებში სატრანსპორტო პრობლემის გადაწყვეტისას.

იმისათვის, რომ თბილისშიც დამკვიდრდეს ასეთი მიდგომა, პირველ რიგში დასამუშავებელია ქალაქის ტრანსპორტის განვითარების სქემა, სადაც ამოსავალი წერტილი იქნება საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრიორიტეტული სტრუქტურა.

კონკრეტულად: თბილისში საბაზისო ტრანსპორტი მომავალშიც იქნება მეტროპოლიტენი. აუცილებელია მისი მოდერნიზაცია და, რაც მთავარია, ახალი სადგურების მშენებლობა, რაც შეწყვეტილია. მეტროს გარეშე დარჩენილია დიდი დიღომი, ავჭალა, ვაკე, კრწანისი, მოსკოვის პროსპექტი. აუცილებელია ახალი სქემის დამუშავება 30-40 წლის პერსპექტივის გათვალისწინებით. შესაძლოა, აუცილებელი გახდეს ახალი ხაზის გაყვანა*. ამდენად, მერიამ ყოველწლიურ ბიუჯეტში უნდა შეიტანოს მეტროს მშენებლობის მუხლი და უნდა აღორძინდეს მეტროს ახალი სადგურების მშენებ-

*** სამწუხაროდ, აზრგამოცლილი ფსევდოქალაქგეგმარებითი ტერმინების გამოყენება მხოლოდ ხელს უწყობს კიდევ უფრო დიდი გაურკვევლობის შექმნას. ფსევდო ტერმინების გამოყენება დილეტანტიზმის თანმხლები მოვლენაა. ჩემთვის უცნობია, ტერმინ „იერსახის" მნიშვნელობა, რომელიც ყოველდღიურად გამოიყენება. რას ნიშნავს გამოთქმა – ქალაქმა დაკარგა იერსახე. ტერმინების გამოყენებასთან დაკავშირებით ხშირად საქმე კურიოზამდეც კი მიდის — „შენდება საცხოვრებელი სახლი ქალაქის ცენტრში, რომლის ეზოშიც განთავსდება 400მ²ტყე-პარკი". როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ქალაქის ცენტრში 400მ²-იანი ტყე-პარკი? საერთოდ, ტერმინების საკითხი ცალკე, სპეციალური საუბრის თემაა.**

*** თბილისის მეტროპოლიტენი, რომელიც თითქმის 50 წლის წინ აშენდა, ბოლო 20 წლის განმავლობაში, პრაქტიკულად, არ განვითარებულა. არ იხსნება ახალი სადგურები, დაკარგულია მეტროს მშენებლობის ტრადიცია, რომელიც აუცილებლად ასაღორძინებელია. თანამედროვე მეტრო ძირეულად განსხვავედება საბჭოური ტიპის მეტროპოლიტენებისაგან, როგორიცაა თბილისის მეტრო. თანამედროვე მეტროპოლიტენი ბევრად უფრო მოსახერხებელია მგზავრობისათვის. თითქმის არ შენდება მიწისზედა სადგურები. ამავე დროს მისასვლელების მოქნილი სისტემა აფართოებს სადგურის მომსახურების არეალს და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის ახალი ტექნოლოგიები, მიწისზედა მონაკვეთები, დაბალ სიღრმეზე გამავალი ხაზები, ღია მეთოდით მშენებლობა საგრძნობლად აიაფებს ამ თავისთავად ძვირ პროცესს.**

# დედაქალაქის ხელისუფალთა საყურადღებოდ!

ლობის ტრადიცია. მესმის, რომ ეს უაღრესად ძვირი და გრძელვადიანი პროგრამაა, შესაძლოა, სამთავრობო PR-ისათვის არაეფექტურიც, მაგრამ რეალობა ისეთია, რომ მეტროპოლიტენის მოდერნიზაციისა და გაფართოების გარეშე თბილისში სატრანსპორტო პრობლემა არ გადაწყდება.

სატრანსპორტო სქემის დამუშავებისას მკაცრად უნდა იქნეს დაცული სატრანსპორტო საშუალებებს შორის იერარქია. უნდა გამოყენებული იყოს ის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ შემთხვევას. არ შეიძლება სამარშრუტო ავტობუსი ვაქციოთ უნივერსალურ სატრანსპორტო საშუალებად. რაც შეეხება საქალაქო ავტობუსებს და ტროლეიბუსებს, მათთვის უნდა განისაზღვროს სპეციალური სამოძრაო ზოლები.

არ შემიძლია არ შევეხო თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის საკითხს. ეს საკითხი მრავალი ათწლეულია დღის წესრიგში დგას. ქალაქის განვითარების ძველ გენერალურ გეგმებში მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

დღეს ახლოს ვართ ამ საკითხის გადაწყვეტასთან და როდესაც საუბარია ამ გზის მშენებლობის ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე, აუცილებელია გათვალსიწინებული იქნეს მისი ქალაქგეგმარებითი მიზანშეწონილობაც, ანუ ის დიდი სარგებელი, რომელსაც ქალაქი მიიღებს ამ მაგისტრალის გაჩენით. გარდა ეკოლოგიური სიკეთისა, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მივიღებთ გამოთავისუფლებულ ტერიტორიას, რომლის საუკეთესო გამოყენებად მესახება აქ გამწვანებული ზოლის შექმნა, სადაც შეიძლება გავიდეს ეკოლოგიურად სუფთა, უხმო ჩქაროსნული ტრამვაის ხაზი. საერთოდ, ტრამვაი, მათ შორის ჩქაროსნული ტრამვაი, დღეს ევროპის ქალაქებში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სატრანსპორტო საშუალებად განიხილება. თბილისის გრძივ ქალაქგეგმარებით სტრუქტურაში ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო ხაზის გაჩენა საგრძნობლად გააუმჯობესებს შექმნილ მდგომარეობას.

რაც შეეხება პარკირებას, აქ გამართლებულია მხოლოდ ერთი მიდგომა — პარკირება არ შეიძლება იყოს კომერციალიზებული. ყველგან პარკირების თუ ჯარიმების თანხა სრულიად გამჭვირვალედ ხმარდება ქალაქში ახალი პარკირების ადგილების შექმნას, მრავალდონიანი და მიწისქვეშა სადგომების მოწყობას.

## გამწვანება

**ბოლო პერიოდში აშკარაა ქალაქში და მის შემოგარენში მწვანე ზონების ფართების შემცირება. ქალაქში განაშენიანების პროცესის გააქტიურებამ ყველაზე მეტად გამწვანება დააზარალა.**

***მიუხედავად ათასგვარი დადგენილებებისა და ბრძანებულებებისა, რომლებიც კატეგორიულად კრძალავენ ყოველგვარ მშენებლობას, მწვანე ზონებში სწორედ ამ დოკუმენტების შემქმნელების ხელმძღვანელობით ნადგურდება მწვანე ნარგავები. მაგალითისთვის, თუნდაც ბოლო პერიოდში აშენებული გამგეობების და პოლიციის შენობები რად ღირს.***

ამოცანა ძალიან მარტივად ფორმულირდება — უნდა შეწყდეს მწვანე ზონებში მშენებლობა, კეთილმოეწყოს არსებული და შეიქმნას ახალი გამწვანებული ტერიტორიები.

ამ საკითხის გადაწყვეტა სწორედ იმ სიბრტყეში უნდა განვიხილოთ, რომლის შესახებაც ვსაუბრობდით სტატიის დასაწყისში — ქალაქგეგმარებითი პროცესის მართვისას დაცული უნდა იყოს ბალანსი გადაწყვეტილებების მიმღებ საზოგადოებასა და არქიტექტორებს შორის. აქ არ შეიძლება არ ვახსენოთ საოცრად სიმპათიური საზოგადოებრივი მოძრაობა, „პარტიზანული მებაღეობა“, რომელიც თავდადებით იბრძვის მწვანე ზონების გადასარჩენად. სამწუხაროა, რომ მათ ასეთ ექსტრემალურ პირობებში უწევთ მოქმედება.

პრობლემის გადასაჭრელად პირველ რიგში უნდა მოხდეს არსებული მწვანე ზონების პასპორტიზაცია, საზღვრების დადგენა განურჩევლად მწვანე ზონების სტატუსისა და საკუთრების ფორმისა. ყველამ უნდა გაიგოს, რომ მიწის ფლობა არ იძლევა საკუთარ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების განადგურების უფლებას.

არასამთავრობო ორგანიზაციებს მიწაზე საკუთრების ფორმის განურჩევლად უნდა მიეცეთ განსაკუთრებული უფლება, განახორციელონ ზედამხედველობა. როცა საქმე სახელმწიფო საკუთრებას ეხება, კერძო ინიციატივის ფორმით უნდა წარადგინონ ლანდშაფტური პროექტები მერიის სათანადო ორგანოებში და შემდგომ მიიღონ მონაწილეობა ამ პროექტების რეალიზაციაში. ეს აპრობირებული მეთოდია და მას დადებითი შედეგი მოაქვს.

უცხოეთში პოპულარულია ასევე ქველმოქმედების ფორმით ქალაქში თავისუფალ ადგილებში, სადაც ხშირად ამორტიზირებული ნაგებობებია, სკვერების, ბაღების, პარკების, გაშენება და ქალაქისთვის გადაცემა. სამწუხაროდ, ქველმოქმედების ამ ფორმამ ჯერჯერობით საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა. დარწმუნებული ვარ, რომ დროთა განმავლობაში ქველმოქმედების ეს ფორმა ისეთივე პოპულარული გახდება ჩვენში, როგორც, ვთქვათ, ჯანმრ-



თელობის პრობლემების მქონე ადამიანების დახმარება ან ეკლესიების მშენებლობა.

**ირაკლი ლოლაშვილი,**
**არქიტექტურის დოქტორი.**

**P. S. ამ სტატიაში სქემატურად და მოკლედ მონიშნული აქტუალური საკითხები ნამდვილად იმსახურებს სერიოზულ განსჯას, ვინაიდან ეხება ჩვენი ქალაქის მომავალს, ანუ ჩვენი შთამომავლობის ცხოვრების ხარისხს. დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნის და ქალაქის ახლადარჩეული ხელმძღვანელობა ძალას არ დაიშურებს ქალაქმშენებლობითი პროცესის სწორ კალაპოტში მოსაქცევად. ეს არის ჩვენი მოქალაქეების საერთო სურვილი და სასიცოცხლო ინტერესი.**

**ი. ლ.**

---

საქმე №1/62-2014

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

20 ოქტომბერი 2014 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**
საარბიტრაჟო მოპასუხე: **ვალერი ბოჭორიშვილი**

**დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია**

არბიტრაჟმა განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 30 ივნისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტის“ სარჩელი მოპასუხის ვალერი ბოჭორიშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 2013 წლის 4 მარტს, ერთის მხრივ, შპს „ნოვა კრედიტსა” და მეორეს მხრივ, ვალერი ბოჭორიშვილს შორის დაიდო №031391033 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1850 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. კერძოდ ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: მიცუბისი ჩერიოთი, ტიპი: ვენი, ტრანსპორტის გამოშვების წელი: 1999; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასის) №N94W0104432. სარეგისტრაციო მოწმობა: AV9760198, სარეგისტრაციო ნომერი: DCD090

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა, კერძოდ, ისეთ შემთხვევაში თუ მსესხებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევს მას დაერიცხება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხისა და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება და გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ვალერი ბოჭორიშვილს გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ, ისე მისი რეგისტრაციის მისამართზე სამჯერ, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ იმყოფებოდა და მისი მოძიება ვერ მოხერხდა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ვალერი ბოჭორიშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე რეგისტრაციისა და ასევე მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ვალერი ბოჭორიშვილს (პ/ნ 01013018711) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტის“ სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.
2. ვალერი ბოჭორიშვილს განემარტოს, რომ

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ, წარმოადგინოთ შესაგებელი 2 ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69. ასევე შეგიძლიათ, გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.
4. მოპასუხე ვალერი ბოჭორიშვილს ეცნობოს, რომ 2014 წლის 12 ნოემბერს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა შპს „ნოვა კრედიტის“ სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ვალერი ბოჭორიშვილის მიმართ.
5. ვალერი ბოჭორიშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია, არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.
6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით.
8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლი წამების გამო გაასამართლეს

**მიუხედავად დასავლეთის უკმაყოფილებისა და ოპოზიციის პროტესტებისა, საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს ყველაზე გავლენიანი პირების დევნას ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გარემოცვიდან. 22 ოქტომბერს თბილისის სასამართლომ შინაგან საქმეთა და თავდაცვის ყოფილ მინისტრს ბაჩო ახალაიას მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 7,5 წლით. სხვათა შორის, სასჯელმისჯილი შეიძლება შეიწყალოს საქართველოს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა.**

**საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს 7,5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს**

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბაჩო ახალაია მიიჩნია დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332 მუხლით („სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“), აგრეთვე 144-ე მუხლით („წამება“), მიუსაჯა მას 7,5 წლით პატიმრობა. მის ბრალდებად წამოყენებული იყო ორი ეპიზოდი, რომლებიც 2006 წელს განეკუთვნება, როდესაც ბაჩო ახალაიას ეკავა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი. სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ექს-ჩინოვნიკი ბოროტად იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას კომფორტული პირობების შექმნისთვის ციხეში ყოფილი პოლიციელების მიმართ, რომლებიც გასამართლებული იყვნენ თბილისის ერთ-ერთი ბანკის თანამშრომლის სანდრო გირგვლიანის გატაცებასა და მკვლელობაში 2006 წლის დასაწყისში, და პირადად აწამებდა რუსთავის კოლონიაში, იმ პატიმრებს ვისზეც იყო ეჭვი გაქცევასთან დაკავშირებით.

განაჩენის გამოტანის წინა დღით ბაჩანა ახალაიას თანამებრძოლები, მათ შორის მისი მეუღლეც, შეეცადნენ, მოეწყოთ საპროტესტო მიტინგი თბილისში იმ სახლთან, სადაც პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ცხოვრობს, ბრალს სდებდნენ მას სასამართლოზე ზემოქმედებაში. მაგრამ პოლიციამ დაშალა საპროტესტო აქცია, დააკავა რამდენიმე კაცი, რომლებიც მალე გაუშვეს. მოგვიანებით მეუღლემ დაწერა თავის ფეისბუქის კედელზე, რომ ხელისუფლებამ შეძლო, მოეხდინა ზემოქმედება მოსამართლეზე და განაჩენი „ამჯერად აუცილებლად საბრალდებო იქნება“, — ადრე ბაჩანა ახალაია, რომელიც 2012 წლის ოქტომბერში დააკავეს ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის უმალვე, რამდენჯერმე გაამართლეს იმავე სასამართლოში სხვა ბრალდებებისგან.

მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილმა დაიწყო განაჩენის რეზოლუციური ნაწილის კითხვა დარბაზში, რომელიც სავსე იყო ბაჩო ახალაიას ნათესავებითა და თანამებრძოლებით. როდესაც მან განაცხადა სამართალში მიცემულის გამართლების შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით („სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბება“), რაც მას წაეყენა ბრალდებად პროკურატურის მიერ, ექს-მინისტრის მომხრეებმა მოაწყვეს ხანგრძლივი ოვაცია, შეცდომით მიიღეს იგი საბოლოო ვერდიქტად. სასამართლომ მოუწოდა სათანადო პირებს გაეყვანათ დარბაზიდან იქ მყოფთა ნახევარი და გააგრძელა განაჩენის კითხვა. როდესაც ცხადი გახდა, რომ ბაჩანა ახალაია მაინც ისჯებოდა ხანგრძლივი ვადით, ასობით კაცმა, რომლებიც იყვნენ დარბაზსა და სასამართლოს დერეფნებში, მოაწყვეს ხმაურიანი პროტესტი. თავად სასჯელმისჯილმა უარი განაცხადა, მოესმინა განაჩენი — „უსამართლო და ანგაჟირებული გასამართლების წინააღმდეგ“ პროტესტის ნიშნად. მისმა ადვოკატმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ განზრახული აქვს, გაასაჩივროს განაჩენი სააპელაციო სასამართლოში, შემდეგ მასალები გაიგზავნება სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში.

ჩვენი გაზეთის მონაცემებით, ბაჩანა ახალაიას ადვოკატები და ოჯახის წევრები არ გამორიცხავენ, რომ მიმართავენ თხოვნით შეწყალების შესახებ ამჟამინდელ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, რომელმაც ამ დღეებში გადაკვრით აღნიშნა, რომ შეიძლება გამოიყენოს უფლება ყოფილი ჩინოვნიკებისა და თავად ექს-პრეზიდენტის შეწყალების შესახებ — „საქართველოს ერთგული მეგობრებისა და პარტნიორების“ შეშფოთების მოხსნისათვის. ეს მან გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რიჩარდ ნორლანდის მწვავე კრიტიკის პასუხად „პოლიტიკურად მოტივირებულ პროცესებთან“ დაკავშირებით.

Коммерсант



## დედამიწის ზურგზე

### ბარაკ ობამა - აშშ-მა და კანადამ ტერორიზმის წინააღმდეგ სინქრონულად უნდა იმოქმედონ



**აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას განცხადებით, აშშ-მა და კანადამ ტერორიზმის წინააღმდეგ სინქრონულად უნდა იმოქმედონ. ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა კანადის პრემიერ-მინისტრთან სატელეფონო საუბრისას განაცხადა.**

**„ევრონიუსის„ ინფორმაციით, ბარაკ ობამასა და სტივენ ჰარპერს შორის სატელეფონო საუბარი ოტავაში განხორციელებული თავდასხმის შედეგად გაიმართა.**

**„ისევე, როგორც ყოველთვის, პირობას ვდებ, რომ ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების გუნდები მჭიდროდ და კოორდინირებულად ითანამშრომლებენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ კანადა ჩვენი ერთ-ერთი მჭიდრო მოკავშირეა მსოფლიოში, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენ ახლო მეზობლები და მეგობრები ვართ“, — აღნიშნა ბარაკ ობამამ.**

**აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებით, როდესაც საუბარია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე, კანადამ და აშშ-მა სინქრონულად უნდა იმოქმედონ.**

**„ასე იყო წარსულში და დარწმუნებული ვარ, ასე გავაგრძელებთ მომავალშიც“, — დასძინა აშშ-ის პრეზიდენტმა.**

### კანადის პრემიერი - პარლამენტის შენობაზე მომხდარი თავდასხმით კანადას ვერ შეაშინებენ



**კანადის პრემიერ-მინისტრის სტივენ ჰარპერის განცხადებით, ოტავაში, პარლამენტის შენობაზე მომხდარი თავდასხმით კანადას ვერ შეაშინებენ. ინფორმაციას ამის შესახებ „ბიბისი“ ავრცელებს.**

**კანადის პრემიერის განცხადებით, ქვეყანა გააორმაგებს ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლას.**

**„ჩვენ ვერ შეგვაშინებენ. კანადას ამით ვერასდროს შეაშინებენ. სინამდვილეში ჩვენ გავაძლიერებთ და გავაორმაგებთ ძალისხმევას, რომ გადავდგათ ყველა საჭირო ნაბიჯი, გავუმკლავდეთ საფრთხეებს და უზრუნველვყოთ კანადის უსაფრთხოება“, — განაცხადა სტივენ ჰარპერმა მოსახლეობისადმი სატელევიზიო მიმართვის დროს.**

**კანადის პრემიერ-მინისტრის თქმით, კანადელ სამხედროებზე თავდასხმის ორგანიზატორები მართლმსაჯულებას ვერ გაექცევიან.**

**„ბიბისის“ ცნობით, ოტავაში უცნობმა პირმა პარლამენტის შენობასთან ახლოს, ეროვნულ სამხედრო მემორიალთან ცეცხლი გახსნა, რომელსაც საპატიო ყარაულის ჯარისკაცი ემსხვერპლა, სამი ადამიანი კი დაიჭრა. პირველი გასროლიდან რამდენიმე წუთში თავდასხმა მოხდა პარლამენტის კომპლექსის ერთ-ერთ შენობასა და სავაჭრო ცენტრში. სროლის დროს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი სტივენ ჰარპერი პარლამენტში იმყოფებოდა, თუმცა, მას შენობა დაატოვებინეს და უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს.**



**არსებული ინფორმაციით, პოლიციამ შეძლო თავდამსხმელის ლიკვიდაცია. პოლიციის განცხადებით, თავდამსხმელი სავარაუდოდ მაიკლ ზეჰაფ-ბიბო იყო.**

### ირლანდიის სენატმა პალესტინის ტერიტორია სახელმწიფოდ აღიარა

**სენატორების გადაწყვეტილება არ არის სავალდებულო შესასრულებლად ირლანდიის მთავრობისათვის, მაგრამ პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობამ იგი მიიჩნია მნიშვნელოვან ეტაპად კამპანიაში ჯერჯერობით არარსებული „პალესტინის სახელმწიფოს“ საერთაშორისო აღიარებისთვის. ამ ცოტა ხნის წინათ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო ბრიტანეთის პარლამენტმაც.**

### ინდონეზიის ახალმა პრეზიდენტმა ჟურნალისტებს სთხოვა, არ უწოდონ მას „პრეზიდენტი ვიდოდო“ და მათ თავისი ზედმეტსახელი შეახსენა

**ჯოკო ვიდოდომ ისაუბრა იმის შესახებ, რომ მისთვის უხერხულია მოისმინოს თავის შესახებ „ბატონო ვიდოდო“ ან „პრეზიდენტო ვიდოდო“. „უმჯობესია უბრალოდ ჯოკოვი დამიძახოთ“, — დააზუსტა სახელმწიფოს მეთაურმა და გაიხსენა, რომ პირველად მას ასე უწოდეს მრავალი წლის წინათ. ზედმეტსახელის დამრქმევი იყო ფრანგი ბიზნესმენი, რომელთანაც ვიდოდო აწარმოებდა მოლაპარაკებას ავეჯის გაყიდვის შესახებ.**

### პოროშენკომ ხელი მოაწერა კანონებს კორუფციის წინააღმდეგ, რომლებსაც მიიჩნევს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ „შეთანხმების იმპლემენტაციად“

**დოკუმენტებს შორისაა — კანონი „უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს შესახებ“, „კორუფციის თავიდან აცილების შესახებ“, „უკრაინაში ძირითადი ანტიკორუფციული პოლიტიკის შესახებ“ და ცვლილებების შეტანის შესახებ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში იურიდიულ პირებთან და საჯარო მოხელეებთან დაკავშირებით“.**

### ებოლის ციებ-ცხელებისაგან უკვე თითქმის 5 ათასი კაცი დაიღუპა, დაიანგარიშეს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში

**მონაცემები გამოქვეყნდა გვინეასთან, ლიბერიასთან სიერა-ლეონესთან, ესპანეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაკავშირებით. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მუდმივად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დაავადების შემთხვევებისა და ლეტალური დასასრულის რიცხვის მკვეთრი ზრდა არ ნიშნავს, რომ ეს მოხდა სწორედ დროის მითითებულ პერიოდში.**

### სირიაში ავიაშეტევებს ერთ თვეში 553 ადამიანი ემსხვერპლა

**სირიაში, „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიციის მიერ განხორციელებულ ავიაშეტევებს ერთი თვის განმავლობაში 553 ადამიანი ემსხვერპლა , მათ შორის 32 მშვიდობიანი მოსახლე. ინფორმაციას ამის შესახებ „როიტერი„ ავრცელებს. სირიის ადამიანის უფლებადამცველი ობსერვატორიის ინფორმაციით, გარდაცვლილთა უმრავლესობა — 464 ადამიანი „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლია.**

**ორგანიზაციის ცნობით, დაღუპულ მშვიდობიან მოსახლეობას შორის ექვსი ბავშვი და ხუთი ქალია. აშშ-ის წინამძღოლობით საერთაშორისო კოალიცია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ავიაშეტევებს სირიის რამდენიმე პროვინციაში ახორციელებს.**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი,<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №94, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 800 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №94 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 58 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 212 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 24 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 2 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 5 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 125 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 12,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 225 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 24 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის | 10 წელი |

| | | |
|---|---|---|
| | მოქმედების ვადა | |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 3** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის |
| | | და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ქუთაისში, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 11 000 მ$^3$/წელიწადში (თითოეულიდან 2 200 მ$^3$/წელიწადში)). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 356 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 35,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 271 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 24 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 4** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს |
| | | სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვახჭირის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 292 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვახჭირის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 7 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 0,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 201 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 24 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 5** | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის |

| | | |
|---|---|---|
| | სარგებლობისათვის | მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმოწყობილობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) სალიცენზიო ობიექტზე საჭიროა მიწის ზედაპირიდან ერთ მეტრამდე კედლების ბეტონით ამოშენება, აგრეთვე ტერიტორიის დასუფთავება;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 730 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 14 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 203 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 24 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 6**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) გამომუშავების დაწყებამდე და დასრულების შემდგომ საჭიროა შედგეს ობიექტის ტოპოგეგმები;<br>ბ) ობიექტის ფარგლებში არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით;<br>გ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის ტექნიკური ნორმების და წესების დაცვით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| | სარგებლობის ლიცენზიის | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. დილისკას მიმდებარე |

| | | |
|---|---|---|
| | კონკრეტული ობიექტი | ტერიტორიაზე, ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 66 900 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფ. დილისკას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 8 970 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 897 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 994 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 24 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 44** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით, მისი შემდგომი გამოყენებისათვის. ბ) სალიცენზიო ობიექტის დამუშავების დროს უნდა გამოირიცხოს ბურღვა-აფეთქებითი მეთოდის გამოყენება, რათა არ გამოიწვიოს სარკინიგზო ხაზების დაზიანება (დეფორმირება). გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა |
| | | (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა დურნუკის მიმდებარე ტერიტორია, „პატარა დურნუკის" ბაზალტის (ღორღი) გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 1 192 800 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა დურნუკის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 24 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 45** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით; ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ |

| | | |
|---|---|---|
| | | შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეტეხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე, „მეტეხი II"-ის ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 15 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მეტეხის მიმდებარე ტერიტორიატერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 609 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 260,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 722 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 24 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 46** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს |
| | მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | წინასწარ შედგენილი დამუშავების სქემის მიხედვით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძევერის მიმდებარე ტერიტორია, მდ. დიდ ლიახვზე „ლიახვის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - A+B, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 34 800 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძევერას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 657 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 565,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 331 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 24 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 24 ნოემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

# „ნეტავი, იქ თეატრი არის?“



**ზუსტად სამი წლის წინათ, გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი რამაზ ჩხიკვაძე.**

**პუბლიკაცია, რომელსაც დღეს გთავაზობთ, დიდი მსახიობისა და რუსთაველის თეატრის სოხუმში უკანასკნელი გასტროლების შესახებაა.**

**ეს ფოტოსურათი რუსთაველის სახელობის თეატრის დასის ერთმა ჯგუფმა 1993 წლის სექტემბერში სოხუმში გამართული წარმოდგენის შემდეგ გადაიღო.**

**ორიოდ დღეში სოხუმი დაეცა.**



# უკანასკნელი გასტროლები სოხუმში

**— ასე იყო, — იხსენებს საქართველოს სახალხო არტისტი ჯემალ ღაღანიძე, უკანასკნელი მოჰიკანი ქართული სცენის კორიფეთა იმ კოჰორტისა, რომლის მსგავსი, ვეჭვობ, გამეორდეს ჩვენი ქვეყნის კულტურის ისტორიაში,** — უმძიმესი დღეები ედგა მაშინ საქართველოს, ომი იყო, აფხაზეთის ომი.

ედუარდ შევარდნაძე სახელმწიფო საბჭოს (იოსელიანი, სიგუა, კიტოვანი) წევრი გახლდათ. ჰოდა, მან მაშინდელ კულტურის მინისტრს ვალერი ასათიანს მოუწონა იდეა, სოხუმში მებრძოლი ჩვენი ჯარისკაცებისთვის გაემართა კონცერტი, ან სხვა რამ მსგავსი ღონისძიება. სჭირდებოდა ეს ჩვენს ბიჭებს იმ გამუდმებული დაძაბულობიდან ცოტა ხნით მაინც გამოსასვლელად, რომელშიც დღე და ღამ უწევდათ ყოფნა — სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე.

**სოხუმი ფრონტისპირა ქალაქი იყო და განუწყვეტლივ იბომბებოდა...**

**შევარდნაძემ მხარი კი დაუჭირა, მაგრამ, როგორც ვალერი ასათიანი იხსენებს, იყვნენ ისეთებიც, ვინც აჩქარებას არ ურჩევდნენ, დაელოდეთ, ვითარება დაწყნარდება და შემდეგ ჩადითო აფხაზეთში.**

**რატომ შემდეგ?**

**სხვა თუ არაფერი, ისტორიული გამოცდილება კარნახობდა, ახსენებდა სამამულო ომის გამოცდილებას, როცა საომარ მოქმედებათა წინა ხაზზე კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეების საგანგებო ბრიგადები ჩადიოდნენ სწორედ ამ მიზნით.**

**გადადება არ ღირდა.**

**უკანდახევასავით იქნებოდა.**

— თორმეტკაციანი იყო ჩვენი ჯგუფი, — **განაგრძობს ბატონი ჯემალი,** — პირველი, რა თქმა უნდა, რამაზ ჩხიკვაძე იყო, შემდეგ გურამ საღარაძე, კახი კავსაძე, ჟანრი ლოლაშვილი, სოსო ლაღიძე, ნანა ფაჩუაშვილი, თათული დოლიძე, ლეილა სიყმაშვილი, დავით ჩხიკვაძე (მსახიობი, რომელიც ჩვენთან ერთად მღეროდა), ავთანდილ ვარსიმაშვილი, თავისუფალი თეატრის რეჟისორი, ამათ მეც მიმათვალეთ. წამოსული იყო ნატაშა ჩხიკვაძე, რამაზის მეუღლე. ჯგუფში გვყავდა ხმის ოპერატორი ბეჟან შერეზადაშვილი, გამნათებელი ვალიკო არუთინოვი.

წარმოდგენის გასამრავალფეროვნებლად კულტურის მინისტრმა მომღერლებიც დაგვიმატა: მათ შორის — ეკა მამალაძე, თამრიკო ჭოხონელიძე.

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე ჩვენს ჯგუფს წონას მატებდა და ამ აქციის მნიშვნელობას ხაზს უსვამდა.

ამ დროს რობიკო სტურუა ინგლისში იყო მიწვეული სპექტაკლის დასადგმელად და, ბუნებრივია, სოხუმში ვერ ჩამოვიდოდა. ეს ძალიან გულდასაწყვეტი იყო, რადგან ვთამაშობდით ნაწყვეტებს სწორედ მის მიერ დადგმული საეტაპო სპექტაკლებიდან: „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, „მეფე ლირი“...

სოხუმი რომ ფრონტისპირა ქალაქი იყო, ჩარტერული რეისით ჩაფრენისთანავე ვიგრძენით: ავტობუსი „იკარუსი“, რომელიც დაგვახვედრეს, შემოვლითი გზებით ატარეს, ქალაქის ცენტრში რომ მივსულიყავით, მიგვაცილებდნენ ჯარისკაცები, რომლებსაც შესაძლო თავდასხმისგან უნდა დაეცვათ მგზავრები. არაფერი გამორიცხული არ იყო.

როგორც იქნა, მივაღწიეთ თეატრამდე. შენობის კარფანჯრები ფიცრებით იყო აჭედილი. მოვნახეთ ადამიანი, რომელსაც თეატრის დარაჯობა ჰქონდა მინდობილი. გაერთიანებული ძალებით ჩამოვგლიჯეთ ფიცრები. შევედით შენობაში. ძნელი წარმოსადგენია, რაც იქ დაგვხვდა — ჭუჭყითა და მტვრით იყო სავსე თეატრი. რაც შეგვეძლო, გავწმინდეთ, დავბერტყეთ ფარდები, დავხვეტეთ სცენა, დარბაზი, მტვერი მოვაცილეთ სავარძლებს.

ტემპში ვმუშაობდით, რადგან წარმოდგენა დღისით უნდა გაგვემართა — ელექტროენერგიის გამორთვა სოხუმში ჩვეულებრივ ამბად იყო მიჩნეული.

სამი საათისთვის მაყურებლებით გაივსო დარბაზი. ძირითადად ჯარისკაცები იყვნენ, ქალაქის მოსახლეობაც მოვიდა.

წარმატება არაჩვეულებრივი იყო, არნახული.

— წარმოდგენა რომ დამთავრდა, ეს ფოტოსურათი გადავიღეთ. განათება არ ყოფნიდა და, ცხადია, ხარისხიც დაბალია. ციფრული ფოტოკამერები კი იმ დროს საქართველოში ჯერ არ იყო შემოსული. ყველანი ამ სურათზე ვართ აღბეჭდილი — მსახიობები, ჩვენი დამხმარენი და, რაც მთავარია, მაყურებლები — ქართველი ჯარისკაცები.

შეიძლება ითქვას, — ისტორიული სურათია.

**უკანა გზაზე, კელასურში, აეროპორტს რომ უახლოვდებოდნენ, ავტობუსი გააჩერებინა გენო კალანდიამ, ქართველმა პოეტმა, რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრი იყო და აფხაზეთის მწერალთა კავშირს თავმჯდომარეობდა. გააჩერებინა ავტობუსი, გადმობრძანება სთხოვა ყველას და ზურაბ შენგელაიას ოჯახში შეიპატიჟა: ბატონ გენოს თავისი დეიდაშვილისთვის უთხოვია, სტუმრები მყავს და, აბა, შენ იცი, ღირსეული მასპინძლობა გამაწევინეო. ზურაბ შენგელაიას ქართველი კლასიკოსის ლეო ქიაჩელის შთამომავალს, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის შოთა მესხიას ბიძაშვილს, სულით ხორცამდე ქართული ტრადიციების ერთგულ კაცს, რაღა თქმა უნდა, ისეთი სუფრა გაუშლია, როგორიც პატივსაცემ სტუმრებს ეკადრებოდა, თავი არ შეურცხვენია. იმ გაჭირვებულ სოხუმში ასეთი გულუხვობა სასწაული იყო.**

**მაგრამ პური არ ცხვებოდა მაშინ ქალაქში და ბოდიში მოუხდია მასპინძელს ამის გამო.**

**ვალერი ასათიანს, „სოხუმის დესანტის“ ორგანიზატორსა და სულის ჩამდგმელს, ეს ნიუანსიც გაუთვალისწინებია და თვითმფრინავიდან, სადაც თბილისიდან წამოღებული საგზალი ეწყო, სულ კახური დედას პურებით შეუვსია ის მადლიანი სუფრა.**

**თამადად გენო კალანდია დამდგარა.**

— ამასობაში ჩამოღამდა, მანქანის ფარებზე გავაგრძელეთ ნადიმი ჩვენ და ჯარისკაცებმა. არაჩვეულებრივი, არნახული დრო გავატარეთ, და ამ ტალღით ატაცებულებმა თვითმფრინავში გავაგრძელეთ სადღეგრძელოების თქმა, — **ყვება ჯემალ ღაღანიძე,** — თითქოს ომი არ იყო, თითქოს არაფერს ნიშნავდა, რომ ჩვენი „იაკ-40“ გამორთული ნათურებით აფრინდა, სეპარატისტების არტილერიის სამიზნე რომ არ გამხდარიყო.

თამადად ვალერი ასათიანი გვყავდა. მოგეხსენებათ, რა თამადაც არის, არაფერი შეშლია. მაგრამ დრო ვერ გათვალა და ბოლო სადღეგრძელოც ღირსეულად რომ შეესვათ თანამეინახეებს, მფრინავს სთხოვა, ერთი წრე კიდევ დაერტყა, შემდეგ დაშვებულიყო. „იაკ-40“ ერთხელ კიდევ შემოევლო თავზე საქართველოს დედაქალაქს, ყველამ ჩვენ ჩვენი სიტყვის თქმა მოვასწარით.

**— რა სადღეგრძელო თქვით, ბატონო ვალერი? — ვეკითხები ვალერი ასათიანს.**

— საქართველოს გაერთიანების სადღეგრძელო იყო. ბოროტზე კეთილის ძლევის.

**— ბატონო ვალერი, თქვენ გქონდათ შესაძლებლობა, იმ წარმოდგენის მსვლელობის დროს მაყურებელთა რეაქციისთვის მიგედევნებინათ თვალი.**

— გიპასუხებთ ამ შეკითხვაზე, მაგრამ მანამდე მინდა ვთქვა, რომ ჩვენს ჯგუფს სოხუმელები კელასურში დაგვხვდნენ. მათ შორის იყო ლორიკ მარშანია, გენო კალანდია, გენერალი ადამია და სხვები. გოგა ხაინდრავა, რომელიც მაშინ სახელმწიფო მინისტრი იყო, პირდაპირ თეატრში მოვიდა, დაცვის თანხლებით, წარმოდგენაზე ბოლომდე ვერ დარჩა. აღელვებული და აფორიაქებული ჩანდა, რაც იმ ვითარებაში გასაგები და ბუნებრივი იყო.

არ მინდა, სიტყვა „დაბნეულობა“ ვიხმარო, მაგრამ, როგორც პატარა ბავშვები, ისე სათუთნი, თბილები და გულჩვილები ჩანდნენ ჩვენი ჯარისკაცები. ვერ გადმოგცემთ, რა დაემართათ, როცა დაგვინახეს: როგორც ძველ მეგობრებსა და ახლობლებს ეფერებოდნენ და ეხუტებოდნენ ჩვენს სახელგანთქმულ არტისტებს — რამაზ ჩხიკვაძეს, გურამ საღარაძეს, კახი კავსაძეს, ჯემალ ღაღანიძეს, ჟანრი ლოლაშვილს, სოსო ლაღიძეს, ჩვენს ბრწყინვალე მსახიობ ქალბატონებს. ეკა მამალაძეს ლამის ხელები დაუკოცნეს.

წარმოდგენის მსვლელობისას სინათლე გამოირთო და სპექტაკლი სანთლების შუქზე გაგრძელდა. ვხედავდი, როგორ უბრწყინავდათ თვალები ჩვენს მეომრებს და ეს თვალები თითქოს შუქს მატებდა სოხუმის თეატრის ნახევრად ჩაბნელებულ სცენას.

საოცრება ხდებოდა: განწყობილება იყო დუმილიანი, ცრემლიანი, ყელში ბურთივით რომ გაწვება და ძალას რომ გაცლის. ასეთი იყო რეაქცია და არა ბლავილიანი ოვაცია. თუმცა, ძლიერი ტაშიც იყო და აღფრთოვანებაც ნანახითა და მოსმენილით. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის წამიერი დუმილი, რომელიც წარმოდგენის დამთავრებისას მოულოდნელად ჩამოვარდა: ყველა ელოდა, ყველას სურდა, რომ დაუსრულებლად გაგრძელებულიყო ეს ღვთაებრივი შეხვედრა თეატრალურ სამყაროსთან.

მუხტი იყო საოცარი: რამაზ ჩხიკვაძე ისეთ ფორმაში იყო, სასწაულს ახდენდა სცენაზე...

**აზდაკი მეფობდა სცენაზე, ეს უპატიოსნესი მექრთამე მოსამართლე, დაგლეჯილი ქუდით თავზე და მრავლისმნახველი ტანსაცმლით შემოსილი, სახრჩობელისთვის განწირული ოპტიმისტი:**

— მე გათახსირებული ბოროტმოქმედი ვარ. აი, ჩემი უნებლიე ბოროტმოქმედების მამხილებელი საბუთი (გადასცემს „საბუთს“ ჯარისკაცებს, რომლებიც მას უაზროდ ხელში ატრიალებენ). ხმა ამოიღე, შალვა, ხომ ხედავ, ამ ხალხმა კითხვა არ იცის. თქვი, შალვა, თქვი, როგორ ვცდილობდი მთელი ღამე, ამ ბოროტმოქმედისთვის ფარდა ამეხადა.

**შალვა:** — თან სულ მემუქრებოდა, ბატონებო...

**აზდაკი:** — ესეც იყო, ვერ დავმალავთ.

**შალვა:** — ჰოდა, ასეთი რამ არ გეკადრება, აზდაკ!

**აზდაკი:** — ხმა ჩაიწყვიტე, შალვა! შენ გავიწყდება, რომ ახალი დრო დადგა! პოლიციელებს მუსრს გაავლებენ. ახლა უმჯობესია, კაცმა თვითონ აღიაროს თავისი დანაშაული, თორემ ხალხის რისხვას ვერსად დაემალება! სად არის მოსამართლე, რომ მოვიდეს და გამასამართლოს! სად არის მისი აღმატებულება, ბატონი გუბერნატორი?..

**ჯარისკაცი:** — მაინც რას მოელოდი ჩვენგან?

**აზდაკი:** — რაც სპარსეთში მოხდა.

**ჯარისკაცი:** — მერედა, რა მოხდა სპარსეთში?

**აზდაკი:** — ამ ორმოცი წლის წინათ ყველანი ჩამოახრჩეს... ბაბუაჩემი თვითონ მოსწრებია ყოველივე ამას. სამ დღეში გაუჟლეტიათ ყველანი.

**ჯარისკაცი:** — მერედა, რის გამო მოხდა ეს ყველაფერი, შე თათარო, შენა?

**აზდაკი:** — თქვენ გაინტერესებთ, რის გამო მოხდა ეს ყველაფერი, მე თათარო, მენა?..

*(და იწყება სპექტაკლის კულმინაცია, აზდაკის მონოლოგი-სიმღერა).*

— ბაბუაჩემმა ეს სიმღერა დამიტოვა, მაშინ იქ, სპარსეთში ასე მღეროდნენ... მე და ჩემი მეგობრები გიმღერებთ. შალვა! შალვა! თოკი! თოკი მაგრად გეჭიროს, ბრიყვო! ეს სიმღერას უხდება. გთხოვთ!

**რატომ ჩვენს კაცებს აღარა აქვთ**
**ძარღვებში სისხლი?**
**ჩვენს ქალებს ცრემლი**
**რატომ დაუშრათ?**
**და რატომ შერჩათ სისხლი**
**სასაკლაოზე მიდენილ ხბორებს?**
**ცრემლი კი — წყლის ნაპირს**
**მტირალ ტირიფებს?**
**რატომ?..**

**(და ჩხიკვაძის ბელკანტომ ჩამოიღო სოხუმის თეატრის ჭერი, აავსო სივრცე ომით დამუხტული და სიცოცხლის გამარჯვებად ჩაიღვარა ჩვენი მებრძოლების ანთებულ გულებში).**

ქართული თეატრი ბრწყინვალებდა სოხუმის სცენაზე.
ფარდა დაეშვა...
„ნეტავი, იქ თეატრი არის?“

**არმაზ სანებლიძე.**

**P. S. ასეთია ამ ერთი ფოტოსურათის ისტორია, რომელიც ჩვენს მკითხველებს გავაცანით. ისტორია, რომელიც არ ჰგავს იმ ბლარძუნშოუებს, ქართული ტელეეკრანები და სცენა რომ დაიპყრო.**

**სამწუხაროდ.**

**უფრო საწუხარი კი ის არის, რომ იმ წარმოდგენის მონაწილეთაგან ზოგიერთი და დამსწრეთა უმეტესობა — ჯარისკაცები ჩვენს პუბლიკაციას ვერ გაეცნობა: ღმერთმა გაანათლოს იმათი სულები!**

**ა. ს.**

ფარიკაობა

# საქართველოს თასი ძმების ფინალით



**ზესტაფონში დამთავრდა მოფარიკავეთა საქართველოს თასის გათამაშება, რომელშიც თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, რუსთავის, აჭარის, ოზურგეთის, სანკტ-პეტერბურგის, სომხეთისა და აზერბაიჯანის 100-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა.** განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა მოხმალავე ვაჟთა პაექრობები. ნახევარფინალში 23-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონმა სანდრო ბაზაძემ აზერბაიჯანელი აზერ ტაგიევი დაჯაბნა – 15:9, ფინალში ძმას – ბექა ბაზაძეს აჯობა (15:14) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ამ სახეობაში ლიკა ჯიჯეიშვილმა გაიმარჯვა – გადამწყვეტ პაექრობაში ქრისტინე ნოზაძეს მოუგო, არადა, ჯიჯეიშვილი აქამდე რაპირით ასპარეზობდა და ერთი თვეა, რაც ხმალში ვარჯიშობს.

**კვარცხლბეკი**

**ხმალი. ვაჟები.** 1. სანდრო ბაზაძე (ქუთაისი), 2. ბექა ბაზაძე (საგარეჯოს სასპორტო კლუბი), 3. ვარდან კოსიკოვი (სანკტ-პეტერბურგი), აზერ ტაგიევი (აზერბაიჯანი). **გოგონები.** 1. ლიკა ჯიჯეიშვილი, 2. ქრისტინე ნოზაძე, 3. ანა აფრასიძე (სამივე-თბილისი), მარიამ ფხაკაძე (ქუთაისი).

**რაპირა. ვაჟები.** 1. არჩილ უგულავა, 2. სანდრო სიხარულიძე, 3. ლაშა გალუაშვილი (სამივე-თბილისი), გევორქ არუთუნიანი (სომხეთი).

**გოგონები**. 1. თეონა გოგლიძე (თბილისი), 2. არპინე ატოიანი (სომხეთი), 3. ანა მურცხვალაძე, ანა მელია (ორივე-თბილისი).

**დაშნა. ვაჟები.** 1. კენან ალიევი (აზერბაიჯანი), 2. არკადი მურადიანი (სომხეთი), 3. დავით არველაძე (ქუთაისი), ვექილ ნასიბოვი (აზერბაიჯანი).

**გოგონები.** 1. ნუცა იაგორაშვილი (თბილისი), 2. ემა პოლოსოვა (სომხეთი), 3. მარია ზაკირჩენკო (ქუთაისი), ელმირა ხუდავერდიევა (აზერბაიჯანი).

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: სანდრო ბაზაძე.**

ჭადრაკი

# ვაჟთა გრან პრის ტაშკენტი მასპინძლობს

**უზბეკეთის დედაქალაქში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა ფიდეს 2014-2015 წლების გრან პრის მეორე ეტაპის შეხვედრები. შეჯიბრებაში 12 უძლიერესი დიდოსტატი მონაწილეობს. მათ შორისაა ქართველი ბაადურ ჯობავა (რეიტინგი–2717), რომელიც ტურნირზე ირანელი გაემი მაგამის ნაცვლად დაუშვეს. საგულისხმოა ისიც, რომ გაისად თეირანის ნაცვლად მესამე ეტაპს თბილისი უმასპინძლებს.**




ტურნირზე ჯობავას დებიუტი უიღბლო გამოდგა. პირველ ტურში იგი ჰიკარუ ნაკამურასთან (აშშ, 2764) დამარცხდა. **დანარჩენი ხუთი შეხვედრა ასე დამთავრდა:** შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯაინი, 2764)-დმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი, 2722) 0:1, ანიშ გირი (ჰოლანდია, 2758)-ბორის გელფანდი (ისრაელი, 2748), 0,5:0,5, ფაბიანო კარუანა(იტალია, 2844)-მაქსიმ ვაშიე-ლაგრავი (საფრანგეთი, 2757) 0:1, რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი, 2706)-დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი, 2747) 0,5:0,5, თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი, 2726)-სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2767) 0,5:0,5.

**მე-2 ტურში დაზავდნენ:** გელფანდი-კარიაკინი, იაკოვენკო-რაჯაბოვი, ვაშიე-ლაგრავი – კასიმჯანოვი, ჯობავა-კარუანა (იტალიელი დიდოსტატი მსოფლიოს ჩემპიონ მაგნუს კარლსენის შემდეგ რეიტინგში მეორეა), ანდრეიკინი-ნაკამურა, გირი-მამედიაროვი. ვაშიე-ლაგრავმა კასიმჯანოვს მოუგო.

შეგახსენებთ, რომ თითოეულმა მოჭადრაკემ გრან პრის სამ რაუნდში უნდა მიიღოს მონაწილეობა. ტურნირის საერთო გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ამ ტიტულის მფლობელს დაუპირისპირდება.

**ლაშა დიდია**

**სურათზე: ბაადურ ჯობავა (მარცხნივ) და ფაბიანო კარუანა.**

ძიუდო

# წარუმატებელი სტარტი

**მაიამიში (აშშ) დაიწყო ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრები (მთავარი მწვრთნელი გიორგი გუგავა) ასეთი შემადგენლობით ჩაება: თორნიკე ნაგლიაშვილი, ივანე ჯავახიშვილი (ორივე-60 კგ), გელა კელიხაშვილი, ბექა ვიბლიანი (66), კობა მჭედლიშვილი (73), უშანგი მარგიანი, ლევან გუგავა (81), ბექა ღვინიაშვილი (90), გურამ თუშიშვილი (100), გუგა კიბორძალიძე ((100).**

ასპარეზობის პირველ დღეს ევროპის წლევანდელი პირველობის ვიცე-ჩემპიონები – ჯავახიშვილი და ნაგლიაშვილი წარუმატებლად გამოვიდნენ. ივანე სტარტზევე ჭაბუკებში აზერბაიჯანელ ევროპის ჩემპიონ მემან სადიგოვთან დამარცხდა, ხოლო თორნიკემ პერუელი მიშელ პატინო ვილაგრა კი დაჩაგრა, მაგრამ შემდეგ ამერიკელ ადონის დიასთან დათმო პაექრობა.

**გივი გაგუა**




ფეხბურთი

# თავდასხმას გვალვა მოჰყვა





**ეტყობა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მონაწილეებმა შედეგიანობის მჭიდრო სამშაბათს დაცალეს, რადგან თუ მაშინ 40 გოლი გავიდა, ოთხშაბათს გამართულ 8 მატჩში მეტოქეებმა ერთმანეთი მხოლოდ 19-ჯერ დაამწუხრეს.**

„ლივერპული“ – „რეალი“ 0:3 (კრიშტიანუ რონალდუმ 70-ე გოლი მიითვალა და ლიგის თანაკლუბელ რეკორდსმენ რაულს მხოლოდ 1 ზუსტი დარტყმით ჩამორჩება!), „პანათინაიკოსი“ – „იუვენტუსი“ 1:0, „ატლეტიკო“ – „მალმიო“ 5:0, „ლუდოგორეცი“ – „ბაზელი“ 1:0, „ლევერკუზენი“ – „ზენიტი“ 2:0, „მონაკო“ – „ბენფიკა“ 0:0, „გალათასარაი“ – „ბორუსია“ 0:4, „ანდერლეხტი“ – „არსენალი“ 1:2.

**ჯგუფური ეტაპის მეორე წრე ორ კვირაში დაიწყება.**

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# სეზონი მემორიალით გაიხსნა



**თბილისის „დინამოსა“ და „ბათუმის“ ხვალინდელი მატჩით, რომელიც დედაქალაქის სპორტის სასახლეში 14 საათზეა დანიშნული, სუპერლიგის მორიგი საკალათბურთო ჩემპიონატი აიღებს სტარტს.**

რაც შეეხება ახალ სეზონს, იგი, ტრადიციისამებრ, დუდუ დადიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირით გაიხსნა, რომელსაც რუსთავმა უმასპინძლა.

მემორიალის გამარჯვებული ადგილობრივი გუნდი გახდა, რომელმაც ოთხთა ასპარეზობის ფინალში ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ დინამოელებს 72:60 სძლია.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# სტეფანი ბრიტო - კეთილი ნების ელჩი

**მოდელი და მსახიობი სტეფანი ბრიტო, ერთ დროს ბრაზილიელი ფეხბურთელის პატოს ცოლი იყო. თუმცა, რამდენიმე წლის წინათ სტეფანიმ თავის ქმარს ღალატი არაფრით აპატია და პატოს ქალებში განავარდება ცოლ-ქმრის დაშორებით დამთავრდა.**

ამ ამბების შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და სტეფანი ბრიტოც თითქოს მიავიწყდათ კიდეც, მაგრამ ამ რამდენიმე დღის წინათ პატოს ნაცოლარმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა თავი. როგორც იტალიური მედია წერს, სტეფანი ბრიტო გაეროს კეთილი ნების ელჩი გახდება აფრიკაში.



**როსტომ რაჭველიშვილი**

# ვაი თქვენს ძალად სიცილს!

## „ბებრების“ გაზეთი vs „ახალგაზრდების“ შოუ

ამ რამდენიმე დღის წინ იუმორისტულ ტელეარხ TV 11-ზე გავიდა ეგრეთ წოდებული „კაცების შოუ“-ს განახლებული ვარიანტი, რომელსაც მისმა ვაი-შემქმნელებმა „გაზეთები“ დარქვეს.

არაფერს ვიტყვით თავად ამ სასაცილო გადაცემაზე, უბრალოდ ყურადღება უნდა გავამახვილო ერთ ფრაზაზე, რომელიც „ქართული იუმორის მეტრმა“ გიორგი ჯანელიძემ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ ანეკდოტზე წამოროშა.

—მოდი ახლა ვნახოთ, თუ რა იბეჭდება ბებრების გაზეთშიო!, წამოისროლა ჯანელიძემ და ხარხარმა აიკლო სტუდია. მაპატიეთ, ამ მოსაზრებისათვის, მაგრამ ის სიცილ-კისკისი, რომელიც გადაცემის წამყვანების ვითომ ხუმრობას მოჰყვება, ფონოგრამაა, მაგრამ ეს არ არის ამ წერილის მთავარი თემა. მე ჩემი გულისტკივილი ჯანელიძის მიერ როყიოდ ნასროლ სიტყვა „ბებრების“ მიმართ უნდა გამოვთქვა. ვერ გეტყვით, იციან, თუ არა გადაცემის ავტორებმა და წამყვანებმა, რომ სიტყვა „ბებერი“ ადამიანის მიმართ ბოროტად და დამამცირებელ კონტექსტში გამოიყენება. სავარაუდოდ არ იციან, და თავიანთ ბებიაბაბუას ბებერი №1 და ბებერი №2-ად მოიხსენიებენ. უეჭველად წაკითხული ექნებათ ჰემინგუეის „ბებერი (მოხუცი) და ზღვა“, რადგანაც ისე ნანუკა ჟორჟოლიანის მაღალინტელექტუალური შოუს დამამზადებელ ჯგუფში არ მიიწვევდნენ („დამამზადებელ ჯგუფში“ და არა „შემოქმედებით“ ჯგუფში).

ნამდვილად აღარ მაინტერესებს, გაიზარდა თუ არა თქვენი გადაცემის რეიტინგი ჯანელიძის „ხალასი იუმორით“ წაკითხული ანეკდოტის შემდეგ. ნამდვილად აღარ მაინტერესებს, მაგრამ ის კი მართლაც საინტერესოა, თუ რა კრიტერიუმით განსაზღვრავთ „ბებერს“ და „ახალგაზრდას“.

ალბათ, თქვენი საზომით „ახალგაზრდულ გაზეთად“ ითვლება ის გამოცემა, სადაც „ეროვნული ბოზები“, ორიენიაციაარეული არსებები და ე. წ. „ცნობადი სახეები“ თანამედროვეობის გამოწვევებზე „საუბრობენ“.

ალბათ!

ბოლოს კი უნდა გითხრათ, რომ არც ისე Junior-ები ხართ და „ახალგაზრდობანა“ ძნელი სათამაშოა.

**გიორგი დედაბრიშვილი**
ქ. მცხეთა

## სულთათანა

# ცისია შანშიაშვილი



გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, მხატვართა კავშირის წევრი, პედაგოგი, პროფესორი, ქალბატონი **ცისია შანშიაშვილი**.

დიდია მისი დამსახურება სტუდენტთა აღზრდა-განვითარების, მხატვრული ხედვის ჩამოყალიბებაში. სტუდენტები დაჰყავდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აცნობდა უძველეს ისტორიულ-კულტურულ ძეგლებს და აღვივებდა მათში პატრიოტულ გრძნობებს. ცისია შანშიაშვილმა შექმნა ცნობილ ადამიანთა პორტრეტები. მისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო მოსკოვში, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ასევე დაცულია სხვადასხვა მუზეუმებში და კერძო კოლექციებში.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

**მერაბ ბერძენიშვილი**

---

**ნოდარ, ნინო ხადურები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრების ეკა და ბეჟან სამხარაძეების მამის**

**გურამ სამხარაძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

---

**სვეტა, გივი გორგოშიძეები, ჰამლეტ ჭიპაშვილი სამძიმარს უცხადებენ ზანდა გორგოშიძეს, ნინო, ლანა ქუთათელაძეებს ძვირფასი მეუღლის, საყვარელი მამის, დიდებული პიროვნების**

**მიხეილ ქუთათელაძის**

**გარდაცვალების გამო.**

## სანთელი

# მარინა გიგოლაშვილი



გარდაიცვალა ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი მკვლევარი, მეცნიერებათა დოქტორი **მარინა გიგოლაშვილი**.

მარინა გიგოლაშვილი დაიბადა 1943 წლის 8 დეკემბერს ქ. თბილისში. 1965 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის სპეციალობის დამთავრების შემდეგ მან აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში დაიწყო მუშაობა და მთელი სიცოცხლე აბასთუმნის ობსერვატორიასთან იყო დაკავშირებული.

მარინა გიგოლაშვილი იყო საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის შრომების „Science Wothowt Borders“ რედკოლეგიის წევრი; საერთაშორისო ჰელიოფიზიკური წლის საქართველოს ეროვნული წარმომადგენელი; საერთაშორისო ჰელიოფიზიკური წლის ბალკანეთის, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ქვეყნების რეგიონალურ გაერთიანებაში საქართველოს ეროვნული წარმომადგენელი; საერთაშორისო ჟურნალის „Sun and Geosphere“ რედკოლეგიის წევრი; საერთაშორისო ჯგუფის BIOCOS წევრი; მზის გაერთიანებული დაკვირვებების (JOSO) საქართველოს ეროვნული წარმომადგენელი; ევროპული ასტრონომიული საზოგადოების წევრი, ნ. ტუსის სახ. შამახის ასტროფიზიკურ ობსერვატორიასთან არსებული სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი დაცვის საბჭოს წევრი.

მარინა გიგოლაშვილს გამოქვეყნებული აქვს 70-მდე სამეცნიერო შრომა. სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის გარდა მარინა გიგოლაშვილი არის საყმაწვილო ენციკლოპედიის „ჩვენი გალაქტიკა“, ლიტერატურული პუბლიკაციებისა და საგანმანათლებლო ბროშურის „მზე და პლანეტები“ ავტორი.

**აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლები მწუხარებას გამოვთქვამთ დიდი მეცნიერისა და ძვირფასი მეგობრის მარინა გიგოლაშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს.**

## ◎ ნაცური ვერნისაჟი

# ვინ ვინ არის

**მიშა** — ეს შენ ხარ, ნულოვანი ტოლერანიტობა რომ გამოაცხადე და ყვიროდი: „ყველანი ციხეში!“ ყველგან აგენტებს ეძებდი სქუილერივით, კანონდარღვევით ხელყოფდი კერძო საკუთრებას, ატერორებდი ბიზნესს, ებრძოდი ეროვნულ ღირებულებებს, ღვაწლმოსილ ადამიანებს, ამკვიდრებდი ძალადობას, შიშს, ტყუილს, არაფრად აგდებდი ადამიანის ღირსებას, ცდილობდი მოქალაქე გაგეხადა უპიროვნო, მსგავსად კაფკას გმირისა — მწერად ქცეულ არსებად, სასტიკად უსწორდებოდი პოლიტიკურ ოპონენტებს, შენი ბრძანებით არბევდნენ მშვიდობიან აქციებს, ტელეარხებს, ქუჩაში კლავდნენ უდანაშაულო ადამიანებს, ხელკეტებითა და ცოცხებით აუპატიურებდნენ პატიმრებს, სრულად დაიქვემდებარე სასამართლო სისტემა, ააყვავე კორუფცია ხელისუფლებაში, პირადი სიამოვნებისთვის „ძვირადღირებულ მოგზაურობებში, უგემოვნო შოუებში ხარჯავდი სახელმწიფო ბიუჯეტს. საკუთარი ხალხის ნაძარცვი ფულით ქმნიდი უზარმაზარ ლობისტურ ქსელს საზღვარგარეთ, აშენებდი უხარისხო შენობა-ნაგებობებს, ამის მაგალითად ხუთჯერ სახურავგადახდილი აეროპორტის შენობა ერთი საფრენი ბილიკით და ქუთაისში პარლამენტის სრულიად გამოუსადეგარი, ძვირადღირებული მახინაც საკმარისია. აცარიელებდი ქართულ სოფლებს, რომ მათი სახლების საკვამურიდან არ ამოსულიყო სიცოცხლის კვამლი, თეთრებად ყიდდი ქართულ მიწებს უცხოელებზე, სამარცხვინო იყო ისტორიისა და ლიტერატურის შენეული ცოდნა. როგორ თქვი — ფერეიდნელები სპარსეთში გადასახლებისას „სულიკოს“ მღეროდნენო, ებრაელებმა ოცი წელი იარეს უდაბნოშიო (ამნისტიაც ასეთი უნდა), ყაზახები ისტორიულად ჩვენი მეგობრები იყვნენო და სხვა მრავალი შენს მიერ წარმოთქმული მარგალიტი, აწყობდი მთავრობის სხდომებს, ხან მშენებარე სახლის სახურავზე, ხან სტალაქტიდებში, ხან ტბის პირას იხვების გარემოცვაში (იხვები რომ გედებად მონათლე). სირბილი მიყვარსო და ანაკლიის სანაპიროზე დარბოდი — შენი სირბილი უფრო ძუნძულს გავდა.

საგარეო პოლიტიკაში შენმა სიბეცემ, სრულმა უცოდინრობამ დააკარგვინა ქვეყანას ტერიტორიის 20 პროცენტი, რად აყევი რუსეთის პროვოკაციას, რატომ აღიარე კოდორი აფხაზეთის, ახალგორი ოსეთის ტერიტორიებად? დაკარგული ტერიტორიები ქვების გროვად გამოაცხადე, შენ არ იცი, რომ ამ ქვებზე ასომთავრული წარწერები დღესაც შემორჩენილია? თუ უბრალო ქვებია ბიჭვინთის, ათონის, ილორის, ბედიის მონასტრები? რატომ გახადე დევნილებად საკუთარი მოქალაქენი, საკუთარ ქვეყანაში? გეტოების აშენებით მოიხადე მათ წინაშე ვალი? რატომ დატოვე უპატრონოდ ბრძოლის ველზე დაჭრილი და დახოცილი გმირი ქართველი მეომრები? ამ დროს შენ გამარჯვებას ზეიმობდი, ტრაბახობდი, ყელყელაობდი, ღრუბელ-ღრუბელ დაფრინავდი, ვითომ მტერს აშინებდი, მაგრამ შენ თავად მტრის თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე მიწაზე ფორთხავდი და ჰალსტუხს ღეჭავდი.

ქვეყნის სირცხვილო, მტერო ქვეყნისა, არაკაცო!..

**გიორგი ბარამიძე** — ეს ის არის, აფრასიძეების ალმოდებულ კარმიდამოში, დამწვარი ადამიანების გვერდით მჯდომმა კუბდარის დაგემოვნება რომ მოითხოვა. რატომ დუმს ჟვანიას მეგობარი ბარამიძე ჟვანიას სიკვდილის ნამდვილ მიზეზზე?

**დავით ბაქრაძე** — დაუვიწყარია მისი „გმირული“ მოწოდება — დანა-ჩანგლით, ტაფებით შევებრძოლოთ რუს ოკუპანტებსო, მისი ბრძანებით დაანგრიეს ძველი პარლამენტის შენობა ლომითა და ნაჯახით. გვახსოვს, როგორ დახარჯა მისმა ოჯახმა საზღვარგარეთ ყოფნისას ტელეფონზე საუბრით ბიუჯეტის საკმაოდ დიდი თანხა. როგორ აღმოჩნდა მისი მეუღლე შპს „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურო საბჭოს წევრად 5000 ლარით და იმავდროულად, ჩაჩავას სახელობის კლინიკის დირექტორის მოადგილედ მარკეტინგის დარგში მაღალი ხელფასით.

**ნუგზარ წიკლაური** — ეს ხომ ნაცების განძია, სუპერმენი, რვა ყაჩაღმა რომ ტენა, ტენა და ვერ შეტენა მანქანაში და ელექტროშოკსაც ვაჟკაცურად გაუძლო.

ქართველო მწერლებო, იქნებ შექმნათ კომიქსი სათაურით „წიკლაური და რვა ყაჩაღი“, ბავშვები გაერთობიან. კინორეჟისორებს კი, ვთხოვ, გადაიღონ ფილმი ქართველ სუპერმენ წიკლაურზე.

**ზურა ჭიაბერაშვილი** — გვარითა გამორჩეული,

ჩამშვებად კარგად ცნობილი,
ბერმუდის სამკუთხედიდან
ხის წვერზე შესკუპებული.
ფალოსზე შეყვარებული,
თბილისის მერად თუ ელჩად
მიშასგან გამწესებული.
ბოლოს კი სამსჯავრო სკამზე
ვანოსთან მისკუპებული.

**გიგა ბოკერია** — იდეოლოგიური მარაზმით შეპყრობილი, რაღაც მოუკლო სიარულს საზღვარგარეთ, ალბათ, ის კეისი გაუცვდა, ლობისტებისათვის განკუთვნილ დიდ თანხებს რომ ატარებდა.

**გიგი უგულავა** — ისე გვარს კი ამართლებს. უგულო ყოფილხარ, ყოფილო მერო: ბიუჯეტიდან 50 მილიონი წაართვი ხალხს. შეგახსენებთ შენს მოგზაურობებს ლას-ვეგასში, ვითომდა ნაგვის მანქანების შესასყიდლად, ან მეუღლის მოსამშობიარებლად ავსტრიაში ძმაკაცებთან გასეირნებას. რა ფულით? შენი „მაღალი“ გემოვნებით გაანათე ე. წ. „სინათლის ქალაქი“, უფრო სწორად დაამახინჯე. გყოფნის უტიფრობა, კიდევ ილაპარაკო? გაუთავებლად „ბლატაობ“, სამარცხვინო ხარ.

**ვანო მერაბიშვილი** — „ორი გვამი, ორი გვამი მჭირდება“, გაყვიროდი, არ გეყო შენი ბრძანებით მოკლული ადამიანები: გირგვლიანი, რობაქიძე, ვაზაგაშვილი, გამცემლიძე და სხვები? იქნებ შენს მიერ მოწყობილი სისხლიანი 26 მაისი დაგავიწყდა? რა მუქარით, დაშინებით წაართვი სახლი კვარიათში მესაკუთრეს, არადა შენ თურმე არაფრის მქონე, ლატაკი, გალლეტილი ყოფილხარ (ეს მიშას სიტყვებია), კიდევ კარგი, რომ ახლა უფასოდ გაჭმევენ ციხეში.

**ზურაბ ჯაფარიძე** — მოჩვენებაა თუ სინამდვილე? ეს ხომ უცხოპლანეტელია. ყოჩაღ, ნაცებო, იქაც მოძებნეთ ლობისტი?

**შოთა მალაშხია** — კუმ ფეხი გამოყო და მეც ნახირ-ნახირაო.

**კობა ხაბაზი** — რა შესანიშნავი ტიპაჟია თავისი ხმითა და ჰაბიტუსით მულტფილმებში იხვის გასახმოვანებლად!

**ირმა ნადირაშვილი** — მის შესახებ დაწვრილებით ინფორმაცია იხილეთ 13 ოქტომბრის გაზეთ „რეზონანსში“ სათაურით;: „როგორ დასაქმდა და როგორ დაასაქმა ირმა ნადირაშვილმა თავისი ოჯახი“, რატომ არ იძიებს პროკურატურა იმ მილიონი თანხის წარმომავლობას და მიზანს, რომელიც აღმოჩნდა მის ჩანთაში ბაქოში საბაჟოზე?

**ლონდა მდივანი**

## განცხადება

2014 წლის 16 დეკემბერს, 14 საათზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7), გაიმართება შპს „მადანის“ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობა, მანგანუმის მადნის შემოტანა, მისი გამდიდრება და მიღებული პროდუქციის რეალიზაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **შპს „მადანის“ ოფისში — ქ. ჭიათურა, საჩხერის გზატკეცილი ნოფ-ის მიმდებარე ტერიტორია;**
- **ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში — ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №7;**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17 ა. ტელ: 5(95) 59 52 55; 5(95) 28 75 60;**

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

**შპს „მადანის“ ადმინისტრაცია**

### ინფორმაცია

## 11 ფარმაცევტულ დაწესებულებაში სხვადასხვა ტიპის სამართალდარღვევა გამოვლინდა

**როგორც** რეგულირების სააგენტოს ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა დავით მაჭარაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, დღეის მდგომარეობით კონტროლის ღონისძიებები მიმდინარეობს 11 ფარმაცევტულ დაწესებულებაში, მათ შორის სამ აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების გაცემისა და აღრიცხვის წესების დარღვევა და მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ფორმა №3 რეცეპტის გარეშე გაცემა გამოვლინდა, 7 დაწესებულებაში, მხოლოდ მეორე ჯგუფის ფარმაცევტული პროდუქტის რეცეპტის გარეშე რეალიზაცია, ხოლო 1 დაწესებულებაში სამკურნალო საშუალებების შენახვის პირობების დარღვევა.

დავით მაჭარაშვილის ინფორმაციით, აღნიშნულ დაწესებულებებში მუშაობის დასრულებისთანავე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შედგება, რომლებიც განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას გადაეგზავნება.

რეგულირების სააგენტოს ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმაციით, სამართალდარღვევების რაოდენობის გამოვლენა კონტროლის ღონისძიებების ზრდით აიხსნება. მისივე თქმით, აღნიშნული 11 დაწესებულება სააგენტოს თანამშრომლების მიერ შეირჩა, რადგან არსებობდა ეჭვი უკანონო მიმოქცევის შესახებ. დავით მაჭარაშვილის თქმით, მათ შორის, ე.წ. ქსელური აფთიაქები არ არიან.

### მერაბ ბერძენიშვილის კარიკატურა



„კლიაუზნიკი“: არ მითხრა ახლა სააკაშვილმა ჩიტი მოსპოო.
მონადირე: ჩიტის მეტი რაა, მაგრამ სააკაშვილმა ხე, ტყე მოსპო. ჩიტს დასაჯდომი არა აქვს და, გამფრინვალეს მე ვერ ვკლავ.

### ცინცხალი ანეკდოტები

**ორი** თანამშრომელი ხვდება ერთმანეთს.
— უფროსთან ვიყავი ახლა, ორი ახალი ამბავი მაქვს — ერთი კარგი, მეორე ცუდი. რომელი უფრო გაინტერესებს?
— მოდი, ცუდით დაიწყე.
— სამსახურიდან დამითხოვეს.
— კარგი რომელიღაა?
— შენც გაგათავისუფლეს!

* * *

**საავადმყოფოს** მიმღებში თავგატეხილი კაცი შემოჰყავთ. ექიმი ანკეტას ავსებს:
— სახელი, გვარი?
— ვალერი გაბრიჭიძე.
— ცოლიანი ხარ?
— არა, ბატონო, ავარიაში მოვყევი.

* * *

**ცოლი** ეუბნება ქმარს:
— ძვირფასო, მგონია, რომ არ გიყვარვარ.
— სისულელეების ლაპარაკს თავი დაანებე. შენ რა შუაში ხარ, უბრალოდ, მე არავინ არ მიყვარს.

* * *

**ერთთვიანი** მივლინებიდან შინ დაბრუნებული დედა შვილს ეკითხება:



— სანამ მე წასული ვიყავი, მამა დარდობდა?
— რას ამბობ, სულ კარგ ხასიათზე იყო, მაგრამ ეს ბოლო დღეა ძალიან კი მოიწყინა...

* * *

**ახალგაზრდა** წყვილი თვითმფრინავით მგზავრობს.
— მოდი რა, მოდი!.
— არა ძვირფასო, აქ უხერხულია...
— მოდი, რა ვეღარ ვითმენ!..
— კარგი, მაშინ ტუალეტში მაინც გავიდეთ...
იკეტებიან ტუალეტში.
— მიდი, პრეზერვატივი გადააცვი... ო-ო, რა მაგარია!
უცბად დინამიკიდან ხმა ისმის:
— ახალგაზრდებო! კარგად ვიცით ტუალეტში რასაც აკეთებთ. კატეგორიულად მოვითხოვ, სიგარეტები ჩააქროთ და სახანძრო სიგნალიზაციას პრეზერვატივი ჩამოხსნათ!

* * *

**მრავალწლიანი** კვლევებისა და საკუთარ თავზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბედნიერების ფორმულა „ერთი ერთზე“ ზუსტად ემთხვევა ეთილის სპირტის ფორმულას.

# ყველაზე უცნაური პროფესიები

**რითი** განსხვავდებიან ქვეყნები ერთმანეთისგან? კულტურით, რელიგიით, პოლიტიკით, გეოგრაფიით, კიდევ — პროფესიებით.

BBC Capital-ის კორესპონდენტმა გადაწყვიტა, მსოფლიოში ყველაზე უჩვეულო პროფესიების სია შეედგინა.



### უსაფრთხო გადასასვლელი

ბოლივიაში გზებზე სპეციალური ადამიანი „ზებრები“ დგანან, რომლებიც საგზაო ზებრების მაგივრობას უწევენ ადგილობრივებს. წესის დარღვევის შემთხვევაში ზებრები ნამდვილ შოუს მართავენ. ისინი ტირიან, ძვრებიან ავტომობილზე და მის მფლობელს ვირის ყურებს ჩუქნიან. ეს ახალგაზრდები პროგრამა „დედა ზებრაში“ არიან ჩართულები, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, იშოვონ სამსახური და შეაგროვონ ფული განათლების მისაღებად.

ვიეტნამის ზოგიერთ რეგიონში, ბავშვებს სკოლაში მისასვლელად მდინარეების გადალახვა უწევთ. ზოგჯერ მათთვის რთულია ამ გზის დაფარვა, ამ დროს ადგილობრივ მამაკაცებს ბავშვები ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაჰყავთ. „იმისთვის, რომ არ დასველდნენ, ბავშვები პლასტიკატის ტომრებში ძვრებიან, რომლებიც შემდეგ მამაკაცებს მდინარის მეორე ნაპირზე გადააქვთ. ამ სამსახურზე ბოლო დრომდე არ იყო მიზანშეწონილი საუბარი“, — აღნიშნავს სტატიის ავტორი.



### მოატყუო სისტემა

ჩინეთის ქალაქებში საინტერესო მომსახურება არსებობს. შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, საცობში ყოფნის დროს, შეგიძლიათ, გამოიძახოთ სპეციალური სერვისი, რომელიც 2 ადამიანისგან შედგება. ერთი მათგანი თქვენ მოტოციკლეტის მეშვეობით დანიშნულების ადგილზე მიგიყვანთ, ხოლო მეორე, სადგომზე წაიყვანს თქვენს ავტომობილს.

პოლონეთში, როდესაც ადამიანებს დიდი ხნის განმავლობაში უწევთ რიგში დგომა, მათ შეუძლიათ, სპეციალური ადამიანი დაიქირაონ, რომელიც მათ ნაცვლად დაიკავებს რიგს.

### სარისკო სამსახური

ავსტრალიაში არსებობს მფრინავ ექიმთა სამსახური, რომელიც პაციენტებს ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში უწევს დახმარებას. „ჩვენი ქვეყანა ძალიან დიდია, თუმცა, დასახლების სიმჭიდროვე მცირეა, ზოგჯერ ადამიანს დიდი მანძილის გავლა უწევს, სანამ ცივილიზაციას მიაღწევს“ — ამბობს ავტრალიის მკვიდრი. ამიტომ, 1928 წელს მღვდელმსახურმა ჯონ ფლინმა გამოთქვა ინიციატივა, შექმნილიყო სპეციალური სამედიცინო ავიასამსახური, რომელიც დღემდე არსებობს.

### საკვები გონებისთვის

კარგი ცხელი სადილი სასარგებლოა, როგორც სხეულისთვის, ასევე სულისთვის. ეს მოსაზრება განსაკუთრებით გავრცელებული ინდოეთის ქალაქ მუმბაიშია, სადაც მუშები უპირატესობას სახლში გაკეთებულ საკვებს ანიჭებენ. სწორედ ამიტომ, არსებობს ადამიანი, რომელსაც სამუშაო ადგილებში სახლში დამზადებული საკვები დააქვს.

### მწუხარების გაზიარება

გაგიგიათ ოდესმე პროფესიონალი დამტირებლების შესახებ? ინდოეთის ზოგიერთ რეგიონში მიღებულია დაქირავება სპეციალური დამტირებლისა, რომელიც მიცვალებულთან გამომშვიდობების ცერემონიალს კიდევ უფრო ტრაგიკულს ხდის. ეს ადამიანები გამოხატავენ მწუხარებას ოჯახის იმ წევრების ნაცვლად, რომლებსაც სოციალური სტატუსის მიხედვით, არ შეუძლიათ ემოციების დემონსტრირება.

### კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24